საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 4 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ყოვ. დღიუ 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამკვდროებითო განცხადებს წვრილებრივი ზომის 15X2 სტრიქონი სტრ. 100 მანეთი. ხელს განცხადებებს არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორის ბინები: კრუზენშტერნის ქ. 4, მისაღები რედაქტორის ქუჩის მ-12-თან. ტელეფონი 16—62

№ 51 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 51

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს ამხ. და ნაცნობებს საბჭოს თავმჯ. მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ს. ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 ს. (ნ. 2—2)

ამიერ კავკასიის კოოპ. ყრილობათა საბჭოს გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს საბჭოს თავმჯდომარის მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ს. ბინაზე (ლორისმელიქოვის ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 ს. (ნ. 2—2)

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს მოსკოვის სახალხო ბანკის თფილისის განყოფილების გამგის მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას, პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 ს, ბინაზე (ლორის მელიქ. ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 ს. (ნ. 2—2)

მოსკოვის სახალხო ბანკის თფილისის განყოფილების ხანუსხვო კომისია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს განყოფილების გამგის მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 ს. ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 საათზე. (ნ. 2—2)

საქართველოს კოოპერატიული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს კომიტეტის თავმჯდომარის მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას, პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 ს. ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 საათზე. (ნ. 2—2)

სოფიო დავითის ასული ხირსელი—კანდურისა მიქელთაურით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის და დაუვიწყარის მეგობრისას და საუკეთესო ადამიანისას

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკისას

პანაშვიდები ყოველ დღეს საღამოს 6 ს. გამოსვენება ხუთშაბათს 4 მარტს საკუთარი ბინიდან, ლორის მელიქოვის ქუჩა №. 9, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 10 საათზე. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (797 1—1)

ალფენ მაქსიმეს ძე მიქელაიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს მოულოდნელ გარდაცვალებას ძვირფასი და საუკეთესო ადამიანის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს. გამოსვენება საკუთარი ბინიდან ხუთშაბათს 4 მარტს ლორის მელიქოვის ქუჩა № 9 დილის 10 ს. ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (797 1—1)

ღრმათ დაწუხრებულნი მეუღლე მაკრინე, შვილები ივანე, სამსონ, ბესარიონ, კატო, კესინე, მარო და თინა. რძლები: ნატო, ეკატერინე და პოლინე, შვილის შვილები: ვალიკო, ვიტია, გრიშა და მარგუშა ბურჭულაძეები, ელენე, შინაფორია და თელორეულები, ევნერა, ოლია და ნინა ახობაძეები, სიძე ილიკო ჯაში ამით ვაცნობებთ ნათესავთ და მეგობართ, გარდაცვალებას დაუვიწყარი

ონისიმე დავითის ძის ბურჭულაძის

დაკრძალვა მოხდება, შაბათს 6 მარტს, (ახ. სტ.) სოფელ ინტაბუეთის დავითის მშობლიურ ეკლესიის გალავანში. (793—2—2)

გულდათუთქული დედა ელისაბედი (ელიკო), და მარიამ, ძმები ლეონიდე, შალვა და კიტე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს გარდაცვალებას

გიორგი (გივი) ვიქტორის ძე კორძაიას!

მერვე კლასის მოწაფე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიისა. დაკრძალვა მოხდება სოფ. საჭილაოში 4 მარტს დილით ხუთშაბათს 8 საათზე. (804 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი სე გო, ოლინკა, ქეთევან და ნინო ჯინჭველაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ პირველი სიდედრის, მეორე უსაყვარლესი დედის და მესამე საყვარელი ბებიის

ნინო ბესარიონის ასულის ბაჩეჩილაძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება ქ. ზესტაფონში საკ. სახლიდან და დასაფლავება მოხდება წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში 5 მარტს დილის 8 საათზე. (814—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ქეთევანი და მათე, ძმები, სევერიანე, სარდიონ და გიორგი, დები: კლეოპატრა, ლუბა, მარიამ, თამარი, ნინა და შუშანიკა ხუხუნაიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 7 მარტს (ახ. სტ.) სოფელ ზემო-აკეთში (გურიაში) დანიშნულია ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ სახალხო გვარდიის განსაკუთრებული ბატალიონის უფროსის

სიმონ მათეს ძე ხუხუნაიშვილის

სულის მოსახსენებლად. (760—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ნოე ბესარიონის ძე, მარო ქაიხოსროს ასული, ბენიკო და აკაკი ნოეს ძენი რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის საყვარელი მამის, მეორის მამამთილის, და უკანასკნელთა ბაბუას

ბესარიონ (ბესო) მახარობელის ძე რამიშვილის

გარდაცვალებას სოფ. სურებში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] ასული, ვასილ, დავითი, ისიდორე და იაკობ ბესარიონის ძენი, კალინე, [illegible], მარუსია და ლიდია რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი ქმრის, მეორენი მამის, უკანასკნელნი მამამთილის

ბესარიონ (ბესო) მახარობელის ძე რამიშვილის

გარდაცვალებას ს. სურებში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ. 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ცაცანო, მამა გრიგოლ, დები: ნინო, ანეტა, ოლღა და ძმები: სერგო, ბეგერიან, მირიან და ბეგლარ პაიჭაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის ძვირფასი

რაფიელ ერმალოს ძე პაიჭაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (810 1—1)

გულდათუთქულნი ბიძა გრიგოლ, მაკრინე, მარიამ და ბიძაშვილნი ქეთევან და ქალი პაიჭაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარის ახალგაზრდა

რაფიელ ერმალოზის ძე პაიჭაძის

დაღუპვას, რომელიც იქნა გაპარტახებული მტარვალთაგან თავის მოვალეობის ასრულების დროს სადგურ თფილისში. (808 1—1)

ქუთაისის და მისი გუბერნიის საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს და საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში, 29 თებერვალს გარდაიცვალა, გამგეობის ყოფილი წევრი, გულწრფელი მუშაკი კავშირისა

ნინო (ნუცა) პეტრიაშვილის ასული ბახტაძისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 4 მარტს, სასაფლაოზე გამოასვენებენ ბინიდან (თავნოვის ქუჩა, ქიქოძის სახლი) ნაშუადღევის 3 საათზე. (805 1—1)

ქუთაის ა. წ. 7 მარტს, ქალაქის სახელმწიფო ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან წლის შესრულების გამო მარად დაუვიწყარის და საყვარელის

ბარბარე (ურსასანი) ბახვას ასული ლიფონავას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის შვილები ვალერიან მეუღლე მართაშით, თამარი—მეუღლე [illegible], ძმები მიხეილ და [illegible] ნოტარიო და [illegible] ლორთქიფანიძეები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (812—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვარლენ, მამა დიმიტრი, დედა მარინე, ძმები: ილიკო და ვასილი, და ქეთო, რძლები: ანეტა და ივლიტა თევზაძენი, და ვასასი, სიძე ნიკო მაჭარაშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თეკლე ონისიმეს ასული თევზაძე

გამოსვენება 4 მარტს შუადღის 2 საათზე კუკიის ქუჩიდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (817 1—1)

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ძალაქის

სახალხო სახლი

წარ. № 36 სახალხო სახლთან არს. ქართ. წარმოდ. მმართ. წრე. წარ. № 36.

ხუთშაბათს, 4 მარტს, 1920 წ.

გორის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ

წრის მიერ გამართული იქნება:

დიდი საღამო

შემდეგი პროგრამით

წარმოდგენილი იქნება:

I

მსხვერპლი

1 და 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა, მოქმედება სწარმოებს 1906 წელში.

II

ეკ. გაბუნიშვილის მონაწილეობით

დედის ერთა

კომ. 1 მოქ. ვ. გუნიასი. მონაწილეობს წრის მთელი დასი. რეჟისორი ქ. შათირიშვილი.

III

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქართული სამოპერო სტუდიის ქართულ საშუსიკო საზოგადოების და ცენტრ. კოოპერატ. კავშირების ხორისტები: ქ-ნი ოქროპირიძე, ფხულენიშვილისა, ბ-ნი ლორთქიფანიძე, ფანცხავა, ჭეიშვილიძე, ვენიძე და ბ. ვ. ქვარიძე. ქ-ნი ფხულენიშვილისა და ბ-ნი ვენიძე შეასრულებენ დუეტს „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ნ. გოცირიძე წაიკითხავს სცენას „ვეზირების ტოგას“.

IV

ბალეტი

ქართულ საშუსიკო საზოგადოების ოპერიდან: „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

V

ამერიკული აუქციონი

დასასრულს ცეკვები სახ. ორკესტრით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (811—1—1)

ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

კრუზენშტერნის ქ. № 4. რუსთაველის პრ. № 18 შესახვევი მეორე სართულში. „ხარჩოს“ რედაქც. შენობაში. (უფ. 4—4)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება

იწვევს მსურველთ ხარაიორნო კომისიის მდივნად ბორჩალოს რაიონში. მსურველთ ექნებათ ძირითადი ჯამაგირი 3000 მან. პრაც. დამატებით. თხოვნაში აღნიშნულ უნდა იყოს: 1) რა განათლებისაა (ცენზი), 2) წინანდელი სამსახური და 3) პროფესია. ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები. სასურველია ცოდნა თათრული ან სომხური ენის. (ნ. 2—1)

წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მან გახსნა საკუთარ შენობაში სავადმყოფო და უფასო ამბულატორია (26 მაისის ქ. № 60, ყოფილი ოლღას ქ., შესავალი ილიას გასავ. № 3). ამბულატორია ღიაა ყოველ დღე დილის 10—12 საათ. გარდა კვირა უქმე დღისა. სავადმყოფოს შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უფროს ექიმთან. (687—6—4)

გავხსენით ევროპიული ტანსაცმლების

სამკერვალო

ვღებულობთ საკერავებს. შეკვეთილებს ვასრულებთ სინდისიერად, თავის დროზე და შეღავათიან ფასებში. მისამართი: ქ. თფილისი, ვერის ღაღმართი, კუთხის მოედანი № 8, მოედნის პირდაპირ. პატივისცემით ცერცვაძე. (732 4—2)

15 მარტიდან გამოვა თფილისში ყოველ-კვირეული სალიტერატურო და [illegible] ქართული ჟურნალი

„ხათაბალა“

რედაქცია მოუწოდებს ახალგ. მწერლებს მიიღონ მონაწილეობა ჟურნალში და გამოგზავნონ მასალები. დროებით მისამართი: თფილისი, კალოუბნის ქ. № 14, თეოფილე ბოლქვაძეს. (744 3—2)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22. სადარბაზო. (უფ. ...).

თუ გინდა რამე იცის

ადესაში დენიკინის მიერ დატუსაღებულ

ესსევი ჩიქვანაიას

შესახებ გასთხოვთ ყველას დია ბარათით მოგწეროთ დ. ნოღალეგში გულდამწვარ დედას ქესარია ჩიქვანაიას. (729—6—3)

„მემარცხენე ოპოზიცია“ თუ რეაქციონერები?

დამფუძნებელმა კრებამ სამი სხდომა მოანდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატების განხილვას. თავისთავად საკითხი უბრალო და ნათელია. მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ პროექტში კანცელარიის შტატები ისეა შედგენილი, რომ მის საწინააღმდეგოთ, მის შესაცვლელად არც ერთს ორატორს არ უთქვამს არც ერთი სიტყვა. ვინც ჩვენი რესპუბლიკის არსებობას ფრთხილად ეკიდება, მისთვის ცხადია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობა რესპუბლიკისათვის აუცილებელია. ცხადია ისიც, რომ სამინისტროს სჭირდება კანცელარია; მაშასადამე, წარმოდგენილ კანონ-პროექტის წინააღმდეგ შეიძლო გამოსვლა იმას, ვისაც სურს ჩვენი ცენტრალური მექანიზმის მოშლა, მთელი მთავრობის არევ დარევა და რესპუბლიკაში ანარქიის გამეფება. ეს იმდენათ აშკარაა, რომ ამის მტკიცება ზედმეტათ მიგვაჩნია.

მიუხედავათ ამისა, დამფუძნებელ კრების „მემარცხენე“ ოპოზიციამ—სოციალ-რევოლიუციონერთა და ფედერალისტთა ფრაქციებმა—სამინისტროს კანცელარიის შტატების განხილვა გამოიყენეს, როგორც საბაბი შინაგან საქმეთა სამინისტროზე თავდასხმისათვის.

ჩვენ არავითარ კრიტიკას არ გავურბით, თუნდაც იგი ულმობელი იყოს, და იმის საწინააღმდეგო არაფერი არ გვექნება, რომ ოპოზიცია ყოველს შემთხვევას იყენებდეს მთავრობის მოქმედების კრიტიკისათვის. ჩვენს მოწინააღმდეგეებზე უკეთ ვიცით მაღალი დანიშნულება ოპოზიციისა, ვიცით ისიც, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის სიმძიმე მარტო მმართველ პარტიას კი არ აწევს, არამედ ოპოზიციასაც უდევს იქ წილი. ოპოზიცია გადაცაცებით თვალყურს უნდა ადევნებდეს მმართველ წრეების მუშაობას და არ უნდა გამოეპაროს არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელსაც ის შემცდარათ სთვლის. ამიტომ, ყველაფერი ცოტა შორიდან უკეთ სჩანს, ვიდრე სულ ახლოდან: უეჭველია, საქმეებთან მეტათ ახლო მდგარ მმართველ პარტიას ბევრი რამ ისეთი გამოეპარება, რაც არა მმართველ პარტიებისათვის უფრო დასანახია. და უკანასკნელის მოვალეობას შეადგენს არ დასტოვოს არც ერთი ისეთი ფაქტი, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს კეთილ-მოწყობილ სახელმწიფოში. ვერავითარი ულმობელი და დაუნდობელი კრიტიკა ვერ შეგვაშინებს და ვერ აგვალელვებს ჩვენ, ოღონდ კი ამ კრიტიკის დროს ერთი პირობა იყოს დაცული: თავის კრიტიკაში ოპოზიცია უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებით, ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობა, მისი გამაგრება და განმტკიცება უნდა ამოძრავებდეს მათ. მაგრამ ჩვენ ვერ შევურიგდებით იმ „ოპოზიციას“, რომელსაც ვერ შევამჩნევთ ამნაირ ფრთხილ და სათუთ მოპყრობას რესპუბ. მიმართ, რომელიც ქარაგმულად, ქვის მოსაკლავად და მმართველ პარტიის ჯიბრით აკეთებს იმისთანა რასმე ან ისვრის იმისთანა სიტყვებს, რამაც შეიძლება ავნოს რესპუბლიკას, რაც ასუსტებს მას.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ დამფუძნებელ კრების „ოპოზიცია“, რომელიც „მემარცხენეობას“ ჩემულობს, უფრო და უფრო ეფლობა ამ ხასიათის გამოსვლებში; რაც უფრო დრო გადის, მისი გამოსვლები უფრო და უფრო გაუფრთხილებელი, უფრო და უფრო ხეპრული და უპასუხისმგებლო ხდება. ამ ბოლო დროს ისინი სწორეთ „ჰერკულესის ბჯენამდის“ მივიდნენ.

მართლაც და რაში მდგომარეობდა ჩვენი „ოპოზიციის“ გამოლაშქრების დედა აზრი? შინაგან საქმეთა სამინისტროს „შეურაცხმყოფელ“ მათ მოიყვანეს მრავალი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ ჩვენი ცხოვრების და ჩვენი ადმინისტრაციის მოუწყობლობას. ჩვენ არ გვინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადვოკატათ გამოვიდეთ, არ ვიტყვით, რომ „ოპოზიციის“ მიერ მოყვანილი ფაქტები სულ ყველა ტყუილია მაგრამ სინიდისის წინაშე და საბაბით სამართლიანობის დასაცავად უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ბევრი მათ მიერ მოყვანილი ფაქტები: შეუმოწმებელი, გადამეტებული, გადამახინჯებული და მოჭარბებული გამოდგა; ბევრი მათგანი იქვე სხდომაზე იყო იმდენათ ზედმიწევნით გაბათილებული სოციალ-დემოკრ. ფრაქციის ორატორების და მთავრობის წარმომადგენლების მიერ, რომ თვით „ოპოზიციის“ ქარაგმულ ორატორებმა ბევრი უხერხული და გამაწითლებელი წამი იგრძნეს (ასეთი იყო, მაგალ. ბ. ს. დადიანის მიერ მოყვანილი ფაქტი გვარ-

დღეს

ლონდონის კონფერენციის პოლიტიკური სექცია განაგრძობს ოსმალეთის საზავო ხელშეკრულობის განხილვას.

ფრანგი სოციალისტების კონგრესმა სტრასბურგში ვერსალის საზავო ხელშეკრულების საწინააღმდეგო რეზოლიუცია გამოიტანა.

ფრანგული პრესა უარყოფს ინგლისური გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს, თითქოს ალექსანდრეტა ოსმალეთის ფრონტულ ჯარებს აელოთ.

⁂

ელჩების კონფერენციამ გადასწყვიტა დახუროს ოსმალეთის ნავსადგურები გერმანიის გემებისათვის.

დიდებულების წიგნი 4 კაცის მოკვლის შესახებ ქ. თფილისში) უშვებს ნაწილს ამ ფაქტებისას ადგილი ჰქონდა ერთი წლის წინათ, ან, სულ ცოტა, 8 თვის წინათ, გ. ი. სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა და მისი მმართველნი გადაჭარბებით ებრძოდნენ ანარქიას.

მაგრამ მთავარი მნიშვნელობა იმას არა აქვს, რომ „ოპოზიციის" მიერ მოყვანილი ფაქტები შეუმოწმებელი, გადამახინჯებული, გადაჭარბებული და გაბერებული იყო. ვიქვათ სულ შემოწმებული და სულ ზედმიწევნით დამტკიცებული ყოფილიყო „ოპოზიციის" მიერ აღნიშნული ფაქტები: რა დასკვნა უნდა გამოგვეყვანა მაშინ? ის, რაც გამოიყვანა ჩვენმა უმცროსმა ოპოზიციამ?

მან ამ ფაქტებიდან ის დასკვნა გამოიტანა, რასაც გამოიტანდა ყოველი მოძალე ჩვენი რესპუბლიკისა. რასაც გამოიტანდა გაბოროტებული დენიკინელი ან მაუზერელი, ან ჩალხუშიანები, ან ყველა ის, ვინც გადაჭარბებით და დაუფარავად ებრძვის ჩვენს რესპუბლიკას. გარეშე მტრებისგან ის დასკვნას გამოიტანდა ჩვენი ქართველი „ოპოზიციის" უკანასკნელ გამოსვლებიდან, რომ მას ახარებს და ხმაურით გაუნებამბზე აყენებს ყოველი ისეთი ფაქტი, რაც ჩვენი რესპუბლიკის მოუწყობლობის და სისუსტის მაუწყებელია. იმის მაგივრად, რომ ამ უარყოფითმა ფაქტებმა დაალონოს იგი, ჩვენი „ოპოზიცია" მზად არის გაბეროს ისინი და ქვეყანას უფრო ცუდად მოაჩვენოს; იგი მზად არის შეუხსნას კიდევაც ზოგიერთი მათგანი, ოღონდ კი ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო რაიმე შეიძლება წარმოადგინოს. ჩალხუშიანებს, დენიკინელებს, ბოლშევიკებს რომ ჩაუვარდეთ ხელში ჩვენი „ოპოზიციის" ორატორების ნიღაბმარაკები, უცხოეთში გადათარგმნიან მას და მილიონობით გაავრცელებენ მთელს ქვეყანაში, რადგან იგი საუკეთესო მასალაა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციისთვის.

ყველაფერი ზედა და ართვერი ნაადრევი ჩვენს რესპუბლიკაში, საზოგადოდ, და ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობაში კერძოდ! „ოპოზიცია" ვერ ამჩნევს იმ უდიდეს და უდიდესს ნაბიჯს, რომელიც გადადგა წინ ჩვენმა რესპუბლიკამ ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში. არ უნდა დაივიწყოს ის, რომ შარშან ამ დროს ყაჩაღები თფილისის ქუჩებში შუადღისას სძარცვავდნენ და ხოცავდნენ ხალხს, დღეს კი თფილისი მცხოვრების მხრივ არც ერთს სიცოცხლეს ქალაქს არ ჩამოჰრჩება. მას არ უნდა დაივიწყოს, რა დიდი ნაყოფი მოიტანა ჩვენი ადმინისტრაციის მუშაობამ ყაჩაღებთან ბრძოლის საქმეში, როგორ გასწმინდა მთელი ჩვენი რესპუბლიკა ყაჩაღთა ბრბოებისაგან. მას რომ დაეჯერებინა, ჩვენი რესპუბლიკა სხვისაგან გაცილებით ბნელით არის მოცული და არც ერთი ნათელი წერტილი არ მოჩანს იქ.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს ოპოზიციის განზრახვაში შედიოდეს ჩვენი რესპუბლიკის ასეთი ცნების მიყენება. არა: შეგნებით ისინი ამას არ აკეთებენ. მათ ეს უფრო პოლიტიკური მიამიტობით, უსუსურობით და „მემარცხენე" ოპოზიციის თამაშობით მოსდით ეს. ისინი ვერც კი ამჩნევენ, რომ მეტად მეტად „მარცხნივ" წასვლა ისე შორს წაიყვანს, რომ ბოლოს უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე მოექცევა მას, ვისგანაც წასვლა. „მემარცხენეობის" თამაშობაში მათ ვერ შეამჩნიეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მტრების საქმეს ემსახურებიან, ამით უმეტესად უფრო მეტად უწყობენ ხელს იმის დანგრევას, რაც რევოლუციამ შეგვძინა, და, მაშასადამე, ჩვენი დემოკრატიის თვალში ეცემიან გაბაშვილებზე უკიდურეს „მემარჯვენეებათ" გამოდიან!

დამფუძნებელი კრება

2 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე. რიგ გარეშე განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა მთავრობის წარმომადგენელს.

ევ. გეგეჭკორის განცხადება.

ბათუმის საქალაქო არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის მრწყინვალე გამარჯვებით გათავდა (ხანგრძლივი ტაში). მიუხედავად ათასნაირი დაბრკოლებისა, მიუხედავად დამახინჯებული საარჩევნო სისტემისა, რომელიც ოკუპაციის პირობებში ეგუებოდა საქართველოს რესპუბლიკის მომხრეთ, 60 პროცენტმა ბათუმის მცხოვრებთაგან ხმა მისცა № 1 სიას, რომლის ლოზუნგი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შემოერთება ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის და ამ ნაირად, ეს არჩევნები, რომელიც მხოლოდ ნორმალური გამოდით მუნიციპალური, არსებითად ნამდვილი პოლიტიკური პლებისციტი იყო. ამ პლებისციტმა, ბათუმის მცხოვრებთა ნების ყოვლად აშკარად სიქვეყნით გახადა ის, რომ ბათუმი და მისი ოლქი წარმოადგენენ განუყოფელ ნაწილს საქართველოს რესპუბლიკისას და თუ დღემდე უცხოელებს არ ქონდათ საქმით წარმოდგენა ბათუმის ისტორიაზე და არ იყვნენ საფუძვლიანად გაცნობილნი ბათუმის პირობებს, დღევანდელ პოლიტიკური პლებისციტის შემდეგ არავითარ ეჭვებს ადგილი არ უნდა ქონდეს და ის ბოროტება, სამწუხარო ისტორიული ბოროტება, რომელიც ჩვენს ხალხს დაატყდა თავს ამ ორი წლის წინათ და რომელიც დღემდე ჩვენდა სამწუხაროდ არ არის მოსპობილი, უნდა ვსთქვა, რომ ბოლოს მოეღება ამ ბოროტ მოქმედებას და ბათუმი და მისი ოლქი მის სამშობლოს დაუბრუნდება.

ეს მეორე პლებისციტია. უკვე რამდენიმე თვის წინათ მეჯლისმა აშკარად აღიარა თავისი სურვილი, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს და ბათუმის ახლანდელი პლებისციტი ამ ფაქტს ხელმეორედ აქვეყნებს ევროპის და ჩვენი ხალხის წინაშე და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

ნება მიბოძეთ მთავრობის სახელით განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ საქართველოს მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას მიიღებს, რომ ეს ნების ყოფა მთელი საქართველოისა სისრულეში იქნეს მოყვანილი (ტაში). ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი ძალა ამ ნებისყოფას, ამ სურვილებს მთელი საქართველოისა, როგორც ბათუმის ოლქში, ისე დანარჩენ ჩვენს ფარგლებში, ყოველგვარი დაბრკოლება ჩვენ მიერ ჩათვლილი არ იქნება. მე განსაკუთრებით დღეს შემიძლია ვსთქვა, რომ გვქონდა კიდევ დრო და საშუალება გვეცადა ის, რომ ეს უსამართლობა გამოსწორებული იქნებოდა, მაგრამ დღეს დადგა ისეთი დრო, რომ ჩვენს მთავრობას არა აქვს ნება, არც პოლიტიკური, არც მორალური, თუ კი ხალხის ინტერესებს არ ღალატობს, რომ ეს ნების ყოფა არ შეასრულოს და მე ვაცხადებ, რომ ის თავის ვალს პირნათლად შეასრულებს (ტაში)

აკაკი ჩხენკელი. ბათუმმა თავისი სიტყვა სთქვა, სიტყვა მოსალოდნელი, სრულიად მოსალოდნელი ჩვენთვის, ბევრი შეიძლება იტყვის, რომ ეს სიტყვა არის დიდათ საყურადღებო, საცნობიერო სხვებისათვის. ამ სხვებში დაივიწყეს, რომ ბათუმი ქართული ქალაქია, რომ ის ხალხში ყოფის სამხრეთ საქართველოს, ამ უძველეს აკვანს ქართული კულტურისა, სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა, მათ დაივიწყეს, რომ რუსეთის ძველი რეჟიმის დროსაც ბათუმი ქართველობდა. მუნიციპალური მმართველობა ბათუმში შემოღებულ იქნა მე 80 წლებში და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხმოსნებში არ ყოფილიყოს ქართველი ქალაქის თავი. მიუხედავათ იმისა, რომ ბათუმში ქართველი ხალხი დევნილი იყო თავის ადგილიდან, ნაცნობ სხვადასხვა ეროვნებიდან, მიუხედავათ ამისა, ბათუმი მაინც ქართველობდა. მათ დაივიწყეს, რომ ბათუმი არის ერთადერთი წყარო ქართული მოქალაქეობისა, მათ დაივიწყეს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის მეშობას იწყებს ბათუმიდან; დაივიწყეს რამდენი მნიშვნელობა აქვს ბათუმს ჩვენი დემოკრატიის კულტურისათვის, მის გათვითცნობიერებისათვის, მათ დაივიწყეს—რამდენათ შესისხლხორცებულია ბათუმი საქართველოსთან ეკონომიურად, კულტურულად, გეოგრაფიულად და ყოველმხრივ.

ბათუმში არჩევნები მოხდა მეტად მძიმე პირობებში, არჩევნები მოხდა როცა საქართველოს ხელის უფლება იქ არ იყო, მოხდა მაშინ, როცა ის საოკუპაციო ქალაქს წარმოადგენდა. თქვენ იცით მოქალაქენო, რომ ამ ზავის დროს ასეთი ხასიათის არჩევნები მოხდა ევროპის ორ ქალაქში: ფიუმეში და ვილნოში, ფიუმეს ბედი არჩევნებმა გადასწყვიტა იტალიის სასარგებლოთ, მაგრამ იქ მაშინ იტალიის ჯარი იყო, ვილნოს ბედი გადასწყვიტა არჩევნებმა პოლონეთის სასარგებლოთ, მაგრამ იქ მაშინ პოლონეთის ჯარი იყო. ბათუმში არჩევნების დროს არ იყო ჩვენი ჯარი, მაგრამ ბათუმის საქმე მაინც ჩვენს სასარგებლოთ გადაწყდა.

რას მოასწავებს ეს?

ეს არჩევნები ჩვენ გვეუბნება, რომ ჩვენს ერს არა მარტო ცენტრში, არამედ პროვინციაშიც, თავის პროვინციაშიც აბსოლუტურ თავისი სახელმწიფოებრიობა, თავისი ნების ყოფა. იქ, (ბათუმში და მის ოლქში) იყო შექმნილი არა ნორმალური, ავათმყოფური ატმოსფერა, იქ იყო ანტისახელმწიფოებრივი, ანტი სოციალური აგიტაცია, და ამ პირობებში სწარმოებდა არჩევნები და ის შედეგები, რომელიც მივიღეთ, ღირსშესანიშნავია.

საქართველომ არ იცოდა პოგრომები, თითქმის ყველა მეტ-არა სახელმწიფოებში, რომელნიც აღმოცენდნენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე, მოხდა დარბევა ებრაელების. ერთად-ერთი ქვეყანა, სადაც ამ დარბევას ადგილი არ ჰქონდა, ეს იყო საქართველო. ამ გარემოებას აღნიშნავდა დასავლეთ ევროპის პრესაც. ბათუმში მოხდა დარბევა მიუხედავათ იმისა, რომ ეს ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზებით მოხდა, ჩვენ ეს მაინც დიდათ გვამწუხრებდა და არანორმალურ მოვლენათ მიგვაჩნდა.

არის მეორე გარემოებაც. ბათუმში ცხოვრების გაძვირების გამო ღარიბ ხალხს, დემოკრატიას არა აქვს საშუალება ბათუმს დაუბრუნდეს და იქ იცხოვროს. იქ არ არის ამ ჟამად ღარიბი ხალხი, დემოკრატია, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს გამარჯვებას. იყო აგრეთვე უწესობა სიების შედგენის დროს. ბევრი ქართველი იქ ვერ მოხვდა. სწორედ ცდილობდნენ, მაგრამ ვერ შესძლეს ამ დაბრკოლების ძლევა. იქ კურიალური არჩევნები. სამარცხვინოა დემოკრატიულ საქართველოსათვის იქ ასეთი არჩევნები ხდებოდეს. ჩვენ ყველაფერს ვაფუძნებთ დემოკრატიულ სხვადასხვა კვლებებზე, ჩვენ მიდამ ვიცავდით დემოკრატიულ პრინციპს არჩევნებისას, მაგრამ ფაქტიურად სხვა და სხვა ეროვნებანი იძულებულნი შეიქმნენ ამ კურიალურ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა, მაშასადამე იყო დაბრკოლებანი, არაჩვეულებრივი პირობები, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ბათუმში გაიმარჯვა საქართველოს მთლიანობის პრინციპმა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ აღიარა სამუსლიმანო საქართველომ. სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია მთავრობის წარმომადგენლის განცხადება, რომ ბათუმის საკითხი წესრიგში სდგასო. ეს საკითხი აუცილებლად უნდა გადიჭრას. ამ საკითხის შესახებ პრესაშიაც იყო ლაპარაკი. ზოგიერთი მწერლები ბათუმის საკითხს საერთაშორისო საკითხად აყენებენ. ბათუმის საკითხის საერთაშორისო საკითხად დაყენება ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფას. ის მწერლები, რომლებიც ამბობენ, რომ ბათუმი საერთაშორისო ქალაქად უნდა დარჩეს, მათ ავიწყდებათ, რომ ისინი ბათუმში მიდიან, უნდა გაიარონ საქართველო და ეს ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას, ამას ვერ მოითმენს საქართველოს მთავრობა, ამას ვერ მოითმენს დამფუძნებელი კრება (ტაში).

ბათუმი არის კარი, რომელიც გვაკავშირებს დასავლეთ ევროპასთან. მათ, ვისაც აინტერესებს ბათუმის საკითხი ევროპასთან ურთიერთობის დასამყარებლად, ეს შინაური საკითხია და ეს შინაურულად გადაიჭრება და მათი კანონიერი მოთხოვნილებანი უთუოდ სახეში იქნება მიღებული. მე ვერ წარმომიდგენია სომხეთის და აზერბეიჯანის პასუხის მეგობრული მოლაპარაკე, რომელმაც სთქვას, რომ ბათუმი საერთაშორისო ქალაქად უნდა დარჩესო, და მე ვამბობ, რომ ბათუმის გამარჯვება არის არა მარტო მუნიციპალური, არამედ პოლიტიკური გამარჯვებაც. ჩვენთვის ეს სრულიად ბუნებრივია და ჩვენ იმედი უნდა გამოვსთქვათ, რომ ჩვენი მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ ბათუმის და მის ოლქის საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს უმაღლესი ინტერესი, საქართველოს სახელმწიფოებრიობა. (ტაში)

თავმჯდომარე: სიტყვის მსურველი არავინაა მეტი. მე კენჭს ვუყრი სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას.

ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია.

მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ბათუმის მუნიციპალურ არჩევნებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრეთა მრწყინვალე გამარჯვების შესახებ, დამფ. კრება აღიარებს, რომ ბათუმის მოქალაქეთა ეს საჯარო ვოტუმი ერთხელ კიდევ საქვეყნოთ ამტკიცებს ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსაგან სრულიად განუყრელობას, გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ საქართველოს მთავრობა დროზე მიიღებს ყოველნაირ ზომებს ამ ჩვენი ქვეყნის განუყრელ ნაწილის დედა სამშობლოსთვის დასაბრუნებლად და გადადის მორიგ საკითხზე".

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატებზე. მსჯელობის ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

სხდომის დასასრულს [illegible] სოც.-ფედერალისტების ფრაქციის შეკითხვისას ბათუმის შესახებ და ამბობს, რომ ლაპარაკის ხანა გავიდა, დადგა მოქმედების ხანა, ამიტომ შეკითხვის განსახილველად უნდა დაინიშნოს საგანგებო სხდომა ამ საღამოს, ან ხვალ.

გ. ნინიძე (ს. დ.) აღნიშნავს, რომ შეკითხვა სერიოზულ საკითხს ეხება, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ სასწრაფოთ იქნას ეს შეკითხვა განხილული. დღეს ბათუმის საკითხი იდგა ჩვენს წინაშე, კამათიც იყო, ს. ფედ. ფრაქციას თუ რამე ჰქონდა სათქმელი, შეეძლო მაშინ ეთქვა. (ლ. შენგელაია: თქვენ დაასწარით არა?) დასწრება არაა სასირცხო ბ. შენგელაია, არამედ—დაგვიანება. ბ. შლიჯანმა ბრძანა, რომ მოქმედების ხანა დადგაო, თუ მოქმედების ხანა დადგა, მაშ, გავიდა ლაპარაკის ხანაც, ჩვენ ვსთქვით, რაც უნდა გველაპარაკა, გამოვხატეთ ჩვენი სურვილი და ნება იმ რეზოლიუციაში, რომელიც მივიღეთ მთავრობის განცხადების შესახებ და თუ ახალი გარემოება შეიქმნება, მაშინ ვილაპარაკოთ ამაზე. ჯერ-ჯერობით კი ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია, რომ ეს შეკითხვა სასწრაფოდ იქნას ცნობილი.

სოც. ფედერალისტების წინადადება უარყოფილ იქნა. წინადადებას ხმა მისცა მხოლოდ სოც.-ფედ. ფრაქციამ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ოსმალეთის საკითხი.

ლონდონის კონფერენციის ეკონომიური სექცია განაგრძობდა ეკონომიური მდგომარეობის განხილვას. პოლიტიკური სექცია კი განაგრძობს ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობის პირობების განხილვას.

ერთა ლიგა.

ერთა ლიგის საბჭო შეიკრიბება პარიზში 12 მარტს.

გერმანიის გემები.

ელჩების კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება დახუროს გერმანიის გემებისათვის ოსმალეთის ნავსადგურები.

რკინის გზელთა გაფიცვა.

კვირას მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომლის შემდეგაც მილერანმა რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „პომ-ის" გზაზე მოძრაობის შეწყვეტა საერთო ლიონის გარდა ადმინისტრაციის ყველა მატარებელი წავიდა. ჩრდილოეთში მუშაობა იყო და ეს ნორმალურია, სამხრეთში არაფერია აღსანიშნავი გარდა იმისა, რომ ბორდოში შეიძლება შენელდა მოძრაობა: საერთოთ 24 საათის განმავლობაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებიდან რკინის გზებზე მოძრაობის კერძოობითი შეწყვეტის ხასიათი ჰქონდა.

კომუნისტების კონგრესი.

„ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით მადრიდის დღეს საზოგადოების ქ. ლიუბიხში პოლიციამ გასჩხრიკა ერთი შენო-

ახალი წიგნები

4

სარგის კაკაბაძე. „საქართველოს მოკლე ისტორია". საქართველოს ცენტრ. კოოპერატ. კავშირის გამოცემა. 228 გვ.

სახელმძღვანელო ბაზარზე ახალი წიგნის როგორი მატულობს, თანდათან ცხოვრებულება გამოცემულობა, ჩვენი ლიტერატურა ახალი გამოცემებით თანდათან მდიდრდება, ჩქარის ნაბიჯით მიექანება წინ. წ. კ. საზოგადოება და კოოპერატივთა კავშირი თფილისში და მთავრობის ამბ. გამომცემლობა ქუთაისში—აი სამი დიდი ორგანიზაცია, რომლებიც ახალი წიგნების გამოცემაში თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს და საშუალებას აძლევენ ქართველ ავტორებს თავიანთ ნაწარმოებნი გამოაქვეყნონ.

იმედის მომცემი, სასიხარულო შეჯიბრება და შეჯიბრებას! სხვანაირად არც შეიძლება იყოს: ჩვენს პოლიტიკურ აღორძინებას თან უნდა მოჰყვეს აღორძინება კულტურული, მეცნიერული, ლიტერატურული. ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მომავალშია, ჩვენ საზოგადოებას დასჭირდება დიდი მუშაობა მეცნიერულ ლიტერატურულ დარგში. თუ უფრო იქნება ჩვენი დამოუკიდებლობა, იგი ვერ იზეიმებს ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი გაერთიანებული სკოლა ვიდრე ეს ყველაფერი ეს სხვა ზეციით დასახელებული კულტურული ორგანიზაციები და მუშაობა აქვს განეტეხული.

ჩვენ წინ სძევს ზოგიერთ ამოწურვადი წიგნი ბ-ნ სარგის კაკაბაძისა. საქართველოს ისტორია—აი საგანი, რომელიც უ-დეს მკითხველს ჩვენი ინტელიგენტურ ახალი სპეციალურ, ან უმეტეს, რომელიც ძალიან ცოტა არის დამუშავებული და რომელზეც ჯერ-ჯერობით [illegible] ჩვენი ისტორიის საფუძვლიანი დამუშავება, მისი მეცნიერული განხილვა, [illegible] ცალკე [illegible] იგი ეხება თანამედროვე ისტორიულ პროცესისა, არის ღვთიური საკითხი, ამას განსაკუთრებით მოითხოვს ჩვენი უნივერსიტეტი და საშუალო სკოლა. მეცნიერების ყველა დარგში შეიძლება რომელიმე დაწინაურებულ ხალხთა ლიტერატურის თარგმნა, მაგრამ ამ მხრით ვერაფერს გააწყობთ საქართველოს ისტორიის შესახებ. აქ მარტო ქართველ მეცნიერების ორიგინალობამ უნდა იჩინოს თავი, რასაკვირველია, განათლებულ ერთა მეცნიერების საკვლევ მეთოდების დახმარებით ამ მხრით ჩვენ ვრწმუნდებით უფრო ბედნიერ მდგომარეობაში: ისტორიული მეთოდები საკმაოთ გარკვეულია, საჭიროა მხოლოდ მათი მიხედვით ჩვენი ისტორიის მშრალი მასალის დამუშავება. ამ შემთხვევაში ჩვენ ცოტას მივაკოშლებთ: ჩვენი ისტორია არ არის დამუშავებული, არ არის განხილული მეცნიერულ ობიექტურათ.

ამიტომ ყოველ ახალ შრომას საქართველოს ისტორიის შესახებ ჩვენთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ყოველ ახალ წიგნს ამ დარგში ჩვენ მოვცელით და გახარებით დიდის ინტერესით. დიდის ინტერესით ვეცნობით, რა სიახლე ახალი შრომის ავტორმა ჩვენი ისტორიის შესახებ. ამ ინტერესით ჩვენ გავეცანით ბ-ნ ს. კაკაბაძის „საქართველოს მოკლე ისტორიას" და უნდა აქვე დავნიშნოთ, რომ საერთოდ წიგნი ამბლებს მეტათ სასიამოვნო შთაბეჭდილებას.

ბ-ნ ს. კაკაბაძის ახალ შრომაზე აზროვნებს თავი რამ, რასაც მოკლებულია ცოტათი თუ ბევრათ თითქმის ყველა ამ სიმსუქნე შრომები ჩვენი ისტორიის შესახებ. ეს არის თანდათანობით გაყვანილი ობიექტივიზმი, მსჯელობის მტკიცე მეცნიერული, სერიოზული ტონი და მეორე ის, რაც უნდა აბაგოვებდეს ყოველ ისტორიის შრომას ვასვლის ნათელი წარმოდგენა ისტორიულ პროცესზე, საზოგადოებრივ მოვლენათა ორგანიულ კავშირი, მათ შორის მიზეზობრიობის ჩვენება. მართალია, ეს მეორე პრინციპი ავტორს საუბრებით ვერ გაუყავს, მაგრამ ამის ცდა მაინც არის.

რით მივუთითებთ ჩვენ განსაკუთრებით ობიექტივიზმზე? განა ობიექტიურობა ყველა ისტორიულ შრომათა აუცილებელი თვისება არ უნდა იყოს?—იკითხავს მკითხველი. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება საქართველოს ისტორიას, ამის აღნიშნვა განსაკუთრებით საჭიროა, რადგან თითქმის ყველა ქართველი ისტორიკოსები, რომლებსაც ისინი ცხოვრობენ გადაჭარბებულათ ჩვენი ისტორიის საერთო მსვლელობა, გვიჩვენებენ მისს თავისებურებას, ხშირად არ არიან თავისუფალნი ისტორიულ სუბიექტივიზმისაგან, ხშირად ისინი ჩვენს ისტორიის იგივნებენ, როგორც მასალას მორალურ სენტენციებისთვის, თავის ნაწერებში ისინი ღვრიან ბევრს, აშკარა ტენდენციურად გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ოპტიმისტიზმს". ერთსა და იმავე ქართველ ისტორიკოსს სხვა და სხვა შეხედულებები აქვს ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტზე, როდესაც საქმე ეხება რომელიმე უცხო ხალხის ისტორიას.

მაგალითისათვის ავიღოთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის უდიდი შრომა „ქართველი ერის ისტორია". ეს წიგნი დაუფასებელია, როგორც სერიოზული, მეცნიერული გამოკვლევა; მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ ეპოქის ან ცალკე მოვლენის დახასიათება-განმარტებას, აქ პატრიოტიზმი პროფესორისა აშკარად ამჟღავნებს თავის აშკარა სუბიექტიურ დამოკიდებულებას, რომელიც აქა-იქ გადის საკუთარ ზღვ უარყოფილ მსჯელობაში. მაგ., კითხვა ეხება საქართველოში მეფესა და თავად-აზნაურთა ურთიერთობისა, მათ შორის მუდმივ ბრძოლას. ავტორის მრავალი ქვეყნისა მასალები აქვს მოყვანილი ამ ბრძოლის გასარკვევათ, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ამ შემთხვევაში ობიექტიურათ აღნიშნოს ფაქტი ფეოდალიზმის ურთიერთ შორის ბრძოლის ისტორიულ აუცილებლობისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყველა ხალხის ისტორიაში, რომელმაც კი გაიარა ფეოდალური ხანა, ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი შემდეგ სუბიექტიურ—მორალურ კვალიფიკაციას უკეთებს ამ მოვლენას: „სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქართველოს ბედ-იღბალი, დიდებულ აზნაურებს რომ ძლიერი საზოგადოებრივი—ეროვნული თვითშეგნება და შეგნება ჰქონოდათ და პირადი თავმოყვარეობა და წოდებრივი სარგებლობა საქართველოს საზოგადო კეთილდღეობისათვის შეეწირათ. ვინ მოსთვლის, რამდენი ძალა იკარგებოდა მაშინ ტყუილ უბრალოდ და უნაყოფოდ ამ ძმათა შორის ბრძოლაში!" „უბედურება ის იყო, რომ ამ ბრძოლის დროს დიდებული აზნაურნი არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ, უცხო სახელმწიფოს დამხმარებასაც კი არ თაკილობდნენ, ოღონდ თავიანთი საქმე გაეკეთებინათ. რომ ასეთი საქციელი სამშობლო და საქართველოს ღალატი იყო, ამას ბევრი მათგანი, როგორც ეტყობა, თავს არ იწუხებდა". („ქართველი ერის ისტორია", გვ. 471).

როდესაც ბ-ნ პროფესორს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობები მეექვსე საუკუნიდან ბიზანტიელთა სარდლის იოანე ცეცის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, რაც გამოიხატებოდა მთელი ვაჭრობის ხელში ჩაგდებაში, და ბერძენი მის მეფის საქმეებში ჩარევის შესახებ, ის ახასიათებს მას, როგორც „მრუშს და თავზე ხელაღებულს", მის ეკონომიურ პოლიტიკას კი, როგორც „სამარცხვინო საქციელს". (გვ. 198) ვნებ შეიძლება ითქვას პროფესორის მიერ დღევანდელ შეხედულების პირადი დახასიათების შესახებაც. (გვ. 542) ჩვენი ისტორიის ასეთი მორალიზაცია საერთო სენია მეტი ქართველ ისტორიკოსისა.

გვეხსენება ცნობილი, ამ საისტორიო ქვეყნის, კამათი ნოე ჟორდანიას და არჩილ ჯორჯაძის შორის, შესახებ იმისა, განვლო თუ არა ქართველმა ერმა მოქალაქობრივი ცხოვრების ხანა, რამდენი ენერგია დახარჯა არჩილ ჯორჯაძემ ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ იმის მტკიცებაში, რომ ჩვენში ჯერ კიდევ უძველეს დროიდან ყვაოდა ქალაქური ცხოვრება! როდესაც ახლა ათვალიერებთ არ. ჯორჯაძის საბუთებს, მიმართულს ნოე ჟორდანიას ობიექტურ მსჯელობის მისუსტ მეცნიერულ-სოციოლოგიურ დასკვნების წინააღმდეგ, თქვენ წინ დგას არა ლოგიკოსი, მეცნიერულათ მოაზროვნე, არამედ გრძნობით სავსე, ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფილი, მშობელი ერის სიყვარულით დაბრმავებული პუბლიცისტი. ნოე ჟორდანიას ობიექტიურს, ცივს მსჯელობას ვერ ითმენს სუბიექტივისტი არ. ჯორჯაძე, მას არ სურს მიიღოს და დაიჯეროს ის, რაც, მისი აზრით, ამართებს ჩვენს ისტორიას, ის კი არ ამართლებს, არამედ გრძნობს. ნოე ჟორდანიას მტკიცება, რომ ჩვენში მოქალაქობრივი ცხოვრება არ იყო განვითარებული, რომ მას არ ჰქონდა ეროვნული ხასიათი, არამედ, თუ როდესმე იყო ასეთი ცხოვრება, ის იყო უცხო ელემენტების ხელში, და ამიტომ ჰქონდა მას წარმავალი ხასიათი, არჩილ ჯორჯაძეში იწვევს გულწრფელ აღშფოთებას, მას ეს მიაჩნია ჩვენი ისტორიის შეურაცხყოფათ, მიუხედავათ იმისა, რომ სინამდვილე მის მხარეზე არ არის. არჩილ ჯორჯაძეს არ შეუძლია მოუკერძოებლათ ილაპარაკოს ქართველი ერის ისტორიაზე, რადგან ის მისთვის უფრო გრძნობის საგანია, ვინემ სწავლისა. აქ ობიექტივიზმს ულაპავს სუბიექტივიზმი.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით ისეთ ავტორზე, როგორიც არიან ეგ. ქვარიანი, ილია ფურცელაძე და სხვა. რით აიხსნება ქართველი ისტორიკოსების უმრავლესობის ასეთი დამოკიდებულება ჩვენს ისტორიისადმი? რად ფიქრობენ ჩვენში, რომ საქართველოს ისტორიაში უნდა მოქმედებდეს რაღაც განსაკუთრებული კანონები, არაჩვეულებრივი, თავისებური მსვლელობა უნდა ჰქონოდა მას?

შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ ჩვენ აქამდის ვიყავით დაჩაგრული ერი და ჩვენს წარსულს ვუყურებდით რომანტიულათ და იქ ვეძებდით იმ, რაც არ იყო, არამედ, რაც ჩვენ გვსურდა ყოფილიყო.*) ან შეიძლება იმით, რომ ჩვენი ისტორიკოსების უმრავლესობა ეკუთვნოდა განსაზღვრულ ნაციონალისტურ მიმართულებას მოღვაწეებს? ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქამდე არ გვქონია საქართველოს ობიექტიური ისტორია. ეს ფაქტია. ჩვენს ისტორიკოსებს ხშირათ ავიწყდებოდათ ფილოსოფოსს სპინოზას საკვლევი პრინციპი, რომ ის გრძნობებზე და აფექტებზე ილაპარაკებს, როგორც გეომეტრიულ ხაზებსა და სიბრტყეებზე.

ბ-ნ ს. კაკაბაძის შრომა ამ მხრით წარმოადგენს დიდ ნაბიჯს წინ. ავტორის ობიექტიური, მეცნიერული და სერიოზული ტონი თანდათანობით გაყავს მთელ წიგნში, ერთხელაც არ ღალატობს ამ, ისტორიკოსისათვის განსაკუთრებით აუცილებელ, პრინციპს. წიგნში ვერ შეხვდებით „ოპტიმისტიზმს", მორალურ სენტენციებს. ავტორი ავვიწყობს იმას, რის საშუალებას იძლევა არსებული ისტორიული დოკუმენტები, ცდილობს მოვლენათა შორის პოვოს მიზეზობრივი კავშირი და ყველგან ცდილობა

---

*) სხვათა შორის ამასწინათ მეფე ირაკლის მეორეს გარშემო ატეხილი ხმაურობა იყო გამოძახილი ჩვენი წარსულისადმი ასეთი რომანტიული დამოკიდებულებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, სადაც საერთაშორისო კომუნისტური კონგრესი ხდება და 89 კაცი დააპატიმრა. იუწყებიან აგრეთვე, რომ ბადენში დაპატიმრებულია რამდენიმე რუსი სამხედრო კურიერები. პოლიციამ დაიჭირა რამდენიმე დეპეშა და წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ რადეკი ბოლშევიკური პროპაგანდის მეთაური ყოფილა.

ალექსანდრეტა.

ინგლისის სხვა და სხვა გაზეთმა ამბავი მოიტანა თითქოს ალექსანდრეტა აეღოს ოსმალთა ეროვნულ ჯარებს, რომელნიც ემირ ფეისალის ბანდებთან შეთანხმებით მოქმედებენ. საფრანგეთის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ ამ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვს.

[illegible] ცნობები

([illegible]).

სამხრეთ რუსეთში.

სამხრეთ რუსეთში მოხალისეებმა დაიბრუნეს როსტოვი. ხელთ იგდეს 1500 ტყვე, 22 ზარბაზანი და სხვა დოვლათი. შემდეგ მოსულ დეპეშებში წითლები აცხადებენ, რომ ქალაქი მათ ხელშია. ჩრდილო კავკასიაში სტავროპოლის ჩრდილო აღმოსავლეთით ბრძოლებია.

[illegible] ცნობები

სამხედრო ცნობა.

მურმანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სადგ. სოროკა აიღო. ნარვის რაიონში ჩვენ 456 გამოქცეული მივიღეთ. ბორისოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით 25 ვერსზე ბრძოლაა. მდ. პრიპიატსა და დნეპრს შუა [illegible] რაზმები მოქმედებენ. დნესტრზე და შავ ზღვაზე სიწყნარეა. როსტოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა აზოვი აიღო და იგი მდ. სუხაიასა და ბატაისკის სამხრეთით 20 ვერსზე გამოვიდა. კაგალნიცკაიას ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა სწარმოებს. ველიკოკნიაჟის მიმართულებით შეტევა კარგათ ვითარდება. სტავროპოლის რაიონში დამატებითი ცნობებით, ჩვენ 4,000-ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. არმავირისაკენ დახეული მტრის დევნა გრძელდება.

პრესის მიმოხილვა.

აღნიშნავს რა კავკასიის ფრონტზე ჩვენს გამარჯვებას, ტიხორეცკაიას, კავკაზსკაიას და სტავროპოლის აღებას, „პრავდა" მოწინავეში სწერს: ამ გამარჯვების მთავარი მნიშვნელობა არის ის, რომ დენიკინის ჯარი გაიყო ორ ნაწილად და მათ ერთმანეთში არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ. ეხლა ჩვენ უფრო ენერგიულად უნდა განვავითაროთ ჩვენი გამარჯვება, რომ საბოლოოთ მოვუღოთ მათ ბოლო.

სახალხო კომისარი სემაშკო თავის წერილში „განწმენდის კვირისათვის" სხვათა შორის სწერს: საზიზღრობა მეფის რეჟიმმა დაგვიტოვა ჩვენ სიბინძურე, უწმინდურება, ტილები, უბედურება და სიბნელე. ნამორჩენილ მცხოვრებთა შორის დენიკინის მიერ განადგურებულ ქვეყნებიდან ამოდის ხოლერა. სახადი კიდევ სცილდება რუსეთში თავის მსხვერპლს. ჩვენ ის მოვსპეთ აღმოსავლეთში, მაგრამ კიდევ არის სამხრეთში, სადაც თეთრი გენერლები გაქცევის დროს სტოვებენ თავის თანაშემწე ტილებს. მეურნეობის აღდგენა გვიანდება. სახადი კი ღვიძლი შვილია სიბინძურისა და ტილებისა. დროშა „განწმენდისა", აი დღევანდელი დღის ლოზუნგი. რუსის ხალხს უნდა ჩამოერეცხოს მთელი ტალახი და სიბინძურე, რომლითაც დაფარეს ის მეფის გენერლებმა და კაპიტალისტებმა. უნდა გაიწმინდოს ქუჩები, მოედნები, ეზოები, ქალაქები, სოფლები და სადგურები, ყაზარმები, შკოლები. სასადილოები და სარაიები. ყოველი სახლი უნდა გაიწმინდოს და გაირეცხოს. მთელი მცხოვრებნი უნდა დაიბანონ, მაშ, გაილაშქროთ ტილების წინააღმდეგ—ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს ამ „კვირაში", უნდა გაკეთდეს სწრაფად ეხლა, სანამ თბილი დღეები დაიწყებოდეს. დაე, მოსკოვის მაგალითს სხვა ქალაქებმაც წაბაძონ.

ფრანგი სოციალისტები და ვერსალის ზავი.

ვენა, 28—2. „ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით სტრასბურგში საფრანგეთის სოციალისტების კონგრესმა ვერსალის ძალ-დატანებითი ზავის საწინააღმდეგო რეზოლიუცია მიიღო. საფრანგეთის სოციალისტთა უმეტესობამ ხმა მისცა წინადადებას ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებათა დაუყონებლივ გაუქმების შესახებ.

ლენინი და ყაზახობა.

ლენინმა ყაზახთა ყრილობაზე საბჭოთა რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა. დაიწყო რა საერთაშორისო მდგომარეობიდან ლენინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთმა ორი წლის განმავლობაში შესძლო ებრძოლა 5 ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდა და გვყავს მოკავშირეები.—ესენი არიან მუშები. ყველა განათლებულ ქვეყნების მშრომელი ხალხი ინგლისელები და ფრანგები იძულებული შეიქმნენ ჩრდილოეთიდან—სამხრეთიდან გაეყვანათ ჯარი, რადგან უარი განაცხადეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ბევრი სიძნელეა კიდევ წინ, მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელე გადალახულია. ანტანტის მსოფლიო სიძლიერის ჩვენ არ გვეშინია.

შეეხო რა სამეურნეო ფრონტს ლენინმა სთქვა, რომ მძიმე ბრძოლა მოგველის მეურნეობის აღდგენისათვის. თქვენ თითეულ პატარა სოფლებს უნდა მისცეთ ელექტრონის ძალა. ეს დაგვეხმარება ჩვენ არა ძველის, არამედ ახალი რუსეთის აღდგენის საქმეში. ეჭვს გარეშეა, რომ უსისხლო ფრონტზე ბრძოლა უფრო მეტ გამარჯვებისაკენ მიგვიყვანს, ვიდრე საერთაშორისო იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლა.

მოსკოვის საბჭო.

მოსკოვის საბჭოში სულ არჩეულია 1461 დეპუტატი. აქედან: კომუნისტი 1233, თანამგრძნობი 48, უპარტიო 128, მენშევიკი 43, მაქსიმალისტი 3, მემარცხენე ესერი 1, ანარქისტი 4, ებრაელთა სოციალისტური პარტიიდან 1.

ახალი ამბავი

◆ სოხუმის ოლქში დამფუძნებელი კრების წევრთა არჩევნები დანიშნულია 27, 28 და 29 მარტს.

◆ ბაქოდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „მუდამ ბათუმის დემოკრატიას გამარჯვებას. სალამი ბათუმს ვიქტორ თევზაია."

◆ გენერალ ბარათოვზე თავდამსხმელის დაჭერა. 1 მარტს ანდრეევის ქუჩაზე სახალხო გვარდიელებმა დაიჭირეს გენერალ ბარათოვზე თავდამსხმელი პავლე მარდალეიშვილი, რომელიც ცხოვრობდა კირილე ტოროლიანის პასპორტით.

◆ პარიზიდან მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: „საფრანგეთის მთავრობამ ნება დართო საქართველოს გემებს ეროვნული დროშით ცურვისა. საქართველოს დელეგაცია".

◆ თანაგრძნობის დეპეშა. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს ბათუმიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ბათუმის მშრომელ ინტელიგენციის კავშირი ღრმა მწუხარებას უცხადებს თავის მეგობარ ქართველ ხალხს მის თავზე დატეხილ სტიქიურ უბედურების გამო და იზიარებს მის მწუხარებას. თავმჯდომარე ექიმი სეიდლერი.

◆ მთავრობის თავმჯდომარემ ბათუმიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ბათუმის სომხები ღრმათ დამწუხრებულნი გორისა და მისი მახლობელ სოფლების უბედურებით, მზათ არიან ძმური დახმარება გაუწიონ დაზარალებულ მოძმეებს. შემოწირულების შეგროვება დაიწყო. სომხეთის კონსული ა. ჩიმიშკიანი და სომხეთის ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე მდოიანი.

◆ ხელზე მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ 4 მარტს, დილის 9 ს., ქალაქის შრომის ბირჟაში დანიშნულია ამავე კავშირის დელეგატთა საბჭოს ყრილობა.

◆ მუშათა კოოპერატივ „აღორძინებამ" თავის ყველა თერთმეტ საყაჭრო განყოფილებაში უკვე დაიწყო იაფ ფასიანი სურსათის დარიგება მუშათა მაგიდიდან მიღებულ წიგნაკების პატრონებზე. მსურველები დროის დაუკარგველათ და სწრაფათ კმაყოფილდებიან. ეძლევათ იანვრის რაციონი: შაქარი, ბრინჯი, ჩაი და ქიშმიში.

◆ სტოლერმანის საქმე. 3 მარტს საგანგებო სასამართლოში დაიწყეს საქმის გარჩევა სახელმწიფო თეატრის დირიჟორ ს. ა. სტოლერმანის, რომელმაც ამ ორი თვის წინათ მოჰკლა თავისი ცოლი. სასამართლოს თავმჯდომარეობს ა. ა. კარასოვი, წევრებათ არიან დ. მ. ქართიშვილი, მ. ფ. დიდია. ბრალს სდებს ბრალმდებლის ამხანაგი რიყამაძე. ბრალდებულს იცავენ ნაფ. ვექილები შ. გ. მესხიშვილი, მ. ლ. მანდელშტამი და ვლ. გუხუნაძე. გამოწვეულია 24 მოწმე. სხდომას აუარებელი ხალხი ესწრება. საგანგებო სასამართლოს დარბაზი ყველა მსურველთ ვერ იტევს.

◆ საღამო. დღეს, ვერის მუშათა კლუბში, მეოთხე რაიონული კოლექტივი, ვერის გამრთობი საზ—ბის გამგეობა და მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი, გორის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ მართავს დიდს საღამოს. საღამოზე სხვათა შორის გორის საშინელების შესახებ სიტყვას წარმოსთქვამს ბ. ჩხიკვიშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათ.

◆ საგარეო საქმეთა სამინისტროს. კანცელარიის ვიცე დირექტორი პ. მ. ნინიკაშვილი დაინიშნა საქართველოს ფინანსიური და სავაჭრო საკონსულოთ წარმომადგენლად შავიზღვის გუბერნიაში.

კრებები.

დღეს, საღ. 5 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის, რაიონში მყოფ მცირე კოლექტივების და მუშათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 4 მარტს, საღამოს 5 ს. შესდგება ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება.

უცხოეთი

ადერბეიჯანი.

ხან ხოილი ბათუმის საკითხის შესახებ. გაზ. „ადერბეიჯან"-ში მოთავსებულია საუბარი ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ ხან ხოილთან; დღიდან ადერბეიჯანის რესპუბლიკის დაარსებისა, ამბობს ის, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ბათუმის საკითხს და პარიზში მყოფ ჩვენი დელეგაციაც მუდამ აგონებდა მოკავშირე სახელმწიფოებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ბათუმის ნავთსადგურს. მე მივმართე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს მემორანდუმით, რომელშიაც მოვითხოვდი, რათა ბათუმის საკითხის გადაჭრის დროს უზრუნველ ეყოთ ადერბეიჯანის ინტერესები. ბათუმი ადერბეიჯანისათვის ის პუნქტია, რომელიც გასავალს გვაძლევს ევროპისაკენ; კიდევ მეტი,—ბათუმი არის ბოლო პუნქტი ნავთსადენისა, ამ არტერიის, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი ნორმალური ეკონომიური ცხოვრება. ამ გასავალის დახურვა ჩვენ ჩახრჩობას დაგვედარებოდა. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როგორც უნდა გადაწყდეს ბათუმის პოლიტიკური ბედი, ვინც და რა პირობებშიაც არ უნდა იქნეს მისი ბატონ-პატრონი,—საკითხი ბათუმის ეკონომიური მიმავალის შესახებ გადაჭრილი უნდა იქნეს მისი პოლიტიკურათ მიკუთვნებაზე დამოუკიდებლათ. კერძოთ ამ გადაწყვეტილებამ უნდა უზრუნველჰყოს ადერბეიჯანისათვის თავისუფალი სარგებლობა ბათუმის ნავთსადგურით, როგორც ევროპასა და ჩვენს შუა მდებარე პუნქტით და აგრეთვე ნავთსადენის ბოლოს პუნქტით". ხან ხოილი აღნიშნავს, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები მჭიდროთ არიან გადაჯაჭვულნი ეკონომიურის ძაფებით და ამბობს, რომ ასეთ პირობებში ყოვლად შეუძლებელია ბათუმის უშუალოთ გადაცემა ერთ რომელიმე სახელმწიფოსათვის. დასასრულ ხოილი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები აქ უყურებენ ბათუმის საკითხს და იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთი დამოკიდებულება ხელს შეუწყობს საკითხის სამართლიან გადაჭრას.

შვეიცარია.

ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკების ლიგა. 8 იანვარს, ჟენევაში შესდგა დამფუძნებელი კრება „ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული რესპუბლიკების ლიგისა". ჟენევის ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა მიიღეს მონაწილეობა ლიგის სხდომაზე. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე დაინტერესებული რესპუბლიკების წარმომადგენლები. სხდომა გახსნა ეჟენი პიტარის სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა ის ჰუმანიური იდეა რომელიც, საფუძვლათ დაედო დაარსებულ ლიგას. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე საკანტონო პარლამენტის თავმჯდომარე პიქტემ. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ, განიხილეს ლიგის სტატუტი. ლიგაში შედიან მხოლოდ ჟენეველები: იმ სახელმწიფოთა ქვეშევრდომები, რომელთა ინტერესებსაც იცავს ლიგა, მასში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც დამხმარე წევრები. ლიგის მიზანია: რუსეთის განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობის დაცვა. სხვადასხვა მთავრობებზე გავლენის მოხდენა, რათა ცნობილ იქნას ოფიციალურათ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. ზეპირი და წერითი პროპაგანდა. მჭიდრო კავშირის დამყარება ახალ რესპუბლიკებს და დასავლეთის დემოკრატიის შორის. სტატუტის საბოლოოთ შემუშავება დაევალა ცნობილ პროფესორ იურისტ პოლიე მორიოს. დასასრულ აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ეჟენი პიტარი, საკანტონო პარლამენტის თავმჯდომარე პიკტე, გერონ მარიო, ლეგომანტ, გუჟე (ავტორი საქართველოს შესახებ წიგნისა), ცნობილი სოციალისტი პროფ. მილიო და ნიკ გაი.

ლიგის დაარსების შესახებ ჟენევის გავლენიანი გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევ" სწერს: ლიგის დაარსების ინიციატივას მივესალმებით. საზოგადოება მოკლებულია სწორ ინფორმაციას ახალი რესპუბლიკების შესახებ. ზოგიერთი აგენტები განგებ ამახინჯებენ ფაქტებს და ახალი რესპუბლიკების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ახალი ლიგა აღმოცენებულია ჟენევის მშვენიერ ტრადიციებთან სრული შეთანხმებით. ეს ლიგა უფრო განამტკიცებს იმ მორალურ ავტორიტეტს, რომლითაც ჟენევა დიდი ხანია ცნობილია".

მოქალაქენო!

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულნი უმწეოდ დარჩნენ სუსხიან ზამთრის სიცივეში.

იმათი სახლები დაინგრა და მათი სარჩო-საბადებელი თან ჩაიტანა.

მოქალაქენო, შესწირეთ ტანისამოსი და ფეხსაცმელი საქვეყნო უბედურების მსხვერპლთ.

ტანისამოსი და ფეხსაცმელი იმათთვის ფულზე უფრო საჭიროა. უტანისამოსოთ იტანჯებიან ისინი ახლა და მომავალში კი მოელის ავადმყოფობა, დასნეულება და დაღუპვა.

ტანისამოსი და ფეხსაცმელი, რომელთაც თქვენ მიაწვდით [illegible] ბულთ, იხსნის სამშობლოს [illegible] რო მუშაკთ, გაათბობს [illegible] თაც თავს დაატყდა [illegible] ქონის ყველა საშინელებანი.

მიაწოდეთ იმათ ტანისამოსი და ფეხსაცმელი.

გაუყავით იმათ თქვენი ქონების ნაწილი, გახსოვდეთ, რომ ტიტველ შიშველნი უსახლ კაროთ არიან პატარა ბავშვები, ქალები, თქვენი ძმები და ელიან თქვენ დახმარებას, ძმურ თანაგრძნობას.

ნუ შეგრცხვებათ მიაწოდოთ ისეთი ნივთები, რასაც თქვენ გამოუსადეგრად სთვლით. ძველი სამოსი, ფეხსაცმელი, პერანგი, ჩვარი, ყოველნაირი [illegible] და სხ.

ყოველი ნაჭერი—ქართული იქნება თუ ტყავი, ყველაფერი მოხმარდება დაზარალებულთ.

ნივთების შემგროვებელი კომისიის თავმჯდომარე ი. ი. ჟორდანია.

წევრები: ე. ა. აფთანდილოვა, ნ. ი. ნაკაშიძე, ქ. ჯ. ამირეჯიბი, ე. ა. ყორღანოვა, იბრაჰიმ ბეგ ხან ხოისკი.

ბათუმი

„ჯემიეთ ისლამიეს" და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის შეთანხმება.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტმა და „ჯემიეთ ისლამიეს" („ხელი მილეთის") კომიტეტის წევრებმა შეერთებულ სხდომაზე შემდეგი დადგენილება მიიღეს: „ამა 1920 წელს, 29 თებერვალს, დღითი კვირას, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ბინაზე მოხდა შეერთებული კრება სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ მთავარ კომიტეტის წევრებისა და „ჯემიეთ ისლამიეს" (მუსლიმანთა საბჭოს) კომიტეტის წევრთა. ამ შეერთებული კრების განსახილველი საგანი იყო სამუსლიმანო საქართველოს მომავალ სვე-ბედის შესახებ მოლაპარაკება და შეერთებულად მოქმედება. კრებამ ყოველმხრივ განიხილა რა ეს საკითხი, ერთხმათ მიიღო შემდეგი დადგენილება: სამუსლიმანო საქართველო უნდა შევიდეს დედა სამშობლო საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიურ საფუძველზე. ამ მიზნის ცხოვრებაში გასატარებლათ ზემოხსენებული კომიტეტები უნდა შეერთდნენ და ძლიერ საჩქაროთ თითო კომიტეტმა უნდა აირჩიოს ექვს ექვსი პირი განსაკუთრებითი კომისიის წევრებათ, ამ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს საერთო მოქმედებისათვის გეგმა". დადგენილებას ხელს აწერენ: სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე და „ჯემიეთ ისლამიეს" თავმჯდომარე ალი ხაიდარ ჯაფარიძე. („სამ. საქ.").

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

გურჯაანი. კახეთის რკინის გზის მეორე უბნის მუშა მოსამსახურეებმა 29 თებერვლის ყრილობაზე ერთხმად დაად-

ზედმეტ სუბიექტურსა და მორალურ დასკვნების გაკეთებას.

ბ-ნ ს. კაკაბაძის ახალს შრომაში ვე პირველად ვხვდებით ჩვენი ისტორიის პროცესზე წარმოდგენის ცდას. მისი წიგნი შეიცავს ახალი დროის ისტორიას, დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნიდან, გათავებული ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებით. მისი უმთავრესი დანიშნულებაა, ემსახუროს ჩვენს საშუალო სკოლას, როგორც სახელმძღვანელო. ამიტომ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენათ მიღწეულია ბ-ნ კაკაბაძის ახალ შრომაში ნაჩვენებ ერის ისტორიულ პროცესის, მოვლენათა თანდათანი მსვლელობის სურათი. თუ რა მნიშვნელობა აქვს ისტორიულ შრომის ამ მხარეს, რომლისაც მას მიზნათ აქვს დასახული მთლიანი ისტორიული კურსი, ამ საკითხს ჩვენ უფრო ვრცლათ შევეხეთ სხვა ადგილას (იხილე „ერთობა" №№ 99, 100, 101, 1919 წ.) აქ კი გავიმეორებთ მხოლოდ, რომ ვერც ერთი ისტორიის მთლიანი კურსი, ვერც ერთი სახელმძღვანელო მიზანს ვერ მიაღწევს,—უნდაც როგორც საკითხავი წიგნი, თუ მასში არ არის დაცული ისტორიული ფაქტების თანდათანობა, საზოგადოებრივ მოვლენათა სხვადასხვა მხარეების (ეკონომიურის, სოციალურის და პოლიტიკურის) ორგანიული, მიზეზობრივი კავშირი, ერთი სიტყვით, თუ არ სჩანს იქ ბუნებრივი ისტორიული მსვლელობა, პროცესი.

ბ-ნ ს. კაკაბაძეს აქვს თავის შრომაში ამ ისტორიული პროცესის ჩვენების ცდა. სხვა არსებულ სახელმძღვანელოებს და ცალკე გამოკვლევებთან შედარებით, ავტორს დაცული აქვს ფაქტთა სისტემა, მათ შორის მიზეზობრივი კავშირი. და მართლაც, როდესაც კითხულობთ ბ-ნ კაკაბაძის „საქართველოს მოკლე ისტორიას", თქვენ საკმაო ნათლად წარმოიდგენთ საქართველოს პოლიტიკურად სიკვდილის თანდათანი მოახლოვება, თანდათან აშკარა და ბუნებრივი ხდება მის მიერ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის აუცილებლობა. ამ მხრით ავტორს განსაკუთრებით მოხერხებულათ აქვს აღწერილი მეთვრამეტე საუკუნე, ეტყობა მას ჩვენი ისტორიის ეს ხანა კარგათ აქვს შესწავლილი და უფრო მეტათაც აინტერესებს მას, როგორც, მართლაც რომ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხანა ჩვენი წარსულისა.

მაგრამ, სამწუხაროთ, ბ-ნ ს. კაკაბაძის წიგნში მოვლენათა ასეთი გაწყობ-რიგება, ფაქტთა შორის ორგანიული კავშირი, ეს მისი სრულიად სამართლიანი ცდა—უჩვენოს მკითხველს და მოწაფეს ისტორიული პროცესი—არის ცალმხრივი. ეს პროცესი წიგნში სჩანს მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების სფეროში და მასთან არ არის ბუნებრივათ, მიზეზობრივათ დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა—უფრო ღრმა, ძირითადი მხარეები, როგორიც არის ეკონომიური და სოციალური, რომელთა ზედნაშენია, მხოლოდ გამოხატულებაა პოლიტიკური ურთიერთობა ერისა. ბ-ნ კაკაბაძის შრომის, საერთოდ კარგათ შედგენილს, ეს მხარე ჩვენ მიაჩნია სერიოზულ ნაკლათ.

ავტორი უმთავრეს ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ ფაქტებს, ერთობ დიდ ადგილს აძლევს ჩვენს წარსულში მომხდარ დაუსრულებელ ომებს, როგორც გარეშე მტრებთან, ისე ერის შინაგან ძალთა შორის, როდესაც ათვალიერებთ ამ წიგნს, როდესაც კითხულობთ მასში მოყვანილ სათაურებს, თქვენს თვალწინ ერთი მეორეს შორის რიგრიგობენ დაუსრულებელი ომები, მეფეები, დიდებულები და მათი შეტაკებანი. აქ არ სჩანს ჩვენი ისტორიის შინაგანი მიმდინარეობა, ან და არის ასეთი მიმდინარეობა, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური—სამხედრო. ამიტომ ასეთ ისტორიას აქვს ცალმხრივი, მშრალი ხასიათი. ამ სიმშრალეს ესაჭიროება გამრავალფეროვნება, გაცოცხლება ერის შინაგან ცხოვრების ფაქტებით, არა მექანიკურათ მიკოწიწებით, არამედ მათთან (სამხედრო—პოლიტიკურ ფაქტებთან) ბუნებრივათ, მიზეზობრივათ გადაბმა.

ამ ომებს, მეფეთა და დიდებულების ამ მუდმივ შეტაკებებს ისტორიკოსმა უნდა მოუნახოს სახელმძღვანელოში ძირი, გამაცოცხლებელი იდეა, უნდა იქნას ნაჩვენები ის „ქარგა", რომელიც გაადვილებს, განსაკუთრებით მოწაფეებისათვის, მათ გაგებას. ასეთი ქარგა კი არის ერის ეკონომიურ-სოციალური ცხოვრება.

მართალია, ბ-ნ ს. კაკაბაძეს თავის შრომაში აქვს მიქცეული ყურადღება ეკონომიურ ფაქტორზე, ამ მხრითაც ის განირჩევა დანარჩენ ჩვენს სახელმძღვანელოს ავტორებისაგან, მაგრამ ამ ყურადღებას არ აქვს თანდათანობითი ხასიათი, მის შრომაში ამ უმთავრეს საკითხს აქვს შემთხვევითი ხასიათი და არა სახელმძღვანელო იდეის მაგ. ბ-ნ ს. კაკაბაძე ჩვენს ისტორიას მე-18 ს. სრულიად სამართლიანათ იწყებს მსოფლიო მნიშვნელობის ამბებიდან, რომელთაც გავლენა ქონდათ ჩვენს ამ დროის მდგომარეობაზე და აქ ის ეხება თითქმის ეკონომიურ მიზეზებზე, მაგრამ შემდეგ ის ივიწყებს მათ და გადადის ომების მატიანურ აღწერაზე.

მაშინ, როდესაც ჩვენს წარსულში არის ისეთი ქარგა, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ეს ქარგა არის განსაზღვრული ეკონომიური ხასიათისა და შეიძლება გამოიხატოს ამნაირათ: ეკონომიკაში ნატურალურ-სოფლური მეურნეობა და ფეოდალური ურთიერთობა პოლიტიკაში.

ნ. ჟორდანიას არჩილ ჯორჯაძესთან საკამათო წერილების შემდეგ (იხ. მისი „რჩეული ნაწერები") გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს, რომ მთელი ჩვენი ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე არის ისტორია ფეოდალურ-ნატურალურ ურთიერთობისა, მისი თანდათან განვითარებისა, რაც მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში უმწვერვალეს ხარისხს აღწევს. ამ მხრით ჩვენი ერის ისტორია არის ნელი და გძელი, მაგრამ პირდაპირი პროგრესიული მსვლელობა ფეოდალიზმის სიკვდილისაკენ მიმართული. ამიტომ არ არის ისტორიულათ მართალი ბ-ნ ს. კაკაბაძის აზრი, რომ „საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების თვალსაზრისით უკან მიდიოდა და ნატურალური მეურნეობაც სწრაფის ნაბიჯით იკიდებდა ფეხს (მე 17—18 ს. ს.)". (გვ. 78—79).

ეს არ იყო უკან სვლა, რადგან მთელი წარსულის სიგრძეზე ბატონობდა ნატურალური მეურნეობა, ჩვენ რაც ამ ხანამდე გვქონია უფრო მაღალი, ვინემ ნატურალური, მეურნეობა, არ გვქონდა მოქალაქობრივი ცხოვრება, როგორც ეროვნული მოვლენა *) პირიქით ის იყო პროგრესი, რადგან ნატურალური მეურნეობა უმაღლეს წერტილს აღწევდა, რაც მის სიკვდილს მოასწავებდა ახალი ეკონომიური ურთიერთობის დასაწყებათ. ასეთი იყო გზა ყველა ხალხთა ფეოდალიზმისა.

მაგრამ არის დიდი განსხვავება. მაშინ, როდესაც ევროპის ერთა ისტორიაში ფეოდალურ ნატურალურ ურთიერთობას ბოლოს მოუღო ამ ხალხთა ეკონომიურ-სოციალურ განვითარების შინაგანმა ძალებმა, იქ აღმოცენდა თვით ის ახალი სოციალური ჯგუფები, რომლებმაც მეფესთან ერთად დაამარცხეს ფეოდალები და გზა გაუკაფეს ახალ მეურნეობას—მოქალაქეობრივ წვრილ ბურჟუაზიულ ცხოვრებას, ჩვენში მთელი ეს პროცესი მოხდა უცხო სახელმწიფოს (რუსეთის) ფარგლებში, ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ. ევროპაში ცალკე ერების ბუნებრივათ შექმნილმა აბსოლუტიზმა მოსპო ფეოდალიზმი, პოლიტიკურათ მოკლა ფეოდალები და ისინი უბრალო თავად-აზნაურებათ გადააქცია, ჩვენში ეს მოხდა უცხო აბსოლუტიზმის საშუალებით. ამიტომ ჩვენ ევროპასთან შედარებით ჩამოვრჩენილნი ვართ, ჩვენი ახალი საუკუნეები, ახალი დრო იწყება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, იქ კი მე-14 15 საუკუნეებში. ამაშია ჩვენი ისტორიის თავისებურება.

ყოველივე ამის საქართველოს ისტორიის უკანასკნელ საუკუნეების ისტორიკოსმა უთუოდ ხაზი უნდა გაუსვას, მით უფრო საჭიროა შედარებითი მეთოდი. ბ-ნ ს. კაკაბაძის ახალ შრომაში კი ამას ვერ ვხედავთ. მაშინ, როდესაც მის მონოგრაფიაში ერეკლე II შესახებ ამის ცდა მაინც არის. ამიტომ ავტორის მოთხრობას მეცხრამეტე საუკუნის ამბებზე აქვს მშრალი, გარეგნული ხასიათი. ამ საუკუნეში მოძრაობანი და ამბოხებანი, იმერეთის მეფის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ და სხვ. ავტორს არ აქვს საკმაო სიღრმით განხილული, მათი ხასიათის ახსნა, ის კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით. არ არის გარკვეული, თუ რა ამოძრავებდა იმერეთის ფეოდალებს, როდესაც ასე თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ. ავტორი თითქოს იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ეს იყო უანგარო ბრძოლა საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, მაშინ, როდესაც აქ სჭარბობდა უფრო წოდებრივი ინტერესები. ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის მოძრაობების გასარკვევად ძვირფას მასალას წარმოადგენს შესანიშნავი წერილები ნ. ნ. ჟორდანიასი, რომლებითაც ბ-ნ ს. კაკაბაძეს, როგორც ეტყობა, არ უსარგებლია.

დასასრულ აღსანიშნავია ერთი გარემოება. ბ-ნ ს. კაკაბაძეს, როგორც ვსთქვით, თავისი შრომა დასრულებული აქვს ჩვენი ისტორიის უკანასკნელ წლებით. ასე გასინჯეთ, ჩვენი დამოუკიდებლობის ლოზუნგზეც კი აქვს მოხსენებული. ჩვენ ამაში ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ავტორს და აი რატომ.

წიგნის მიზანია უმთავრესად ემსახუროს ჩვენს საშუალო სკოლას, როგორც სახელმძღვანელო. საზოგადოთ კი მიღებულია, რომ სახელმძღვანელოში ერის ისტორიის ის ხანა, ის უკანასკნელი წლების ამბები, რომელიც ხდება ჩვენ თვალწინ, მონაწილენი ვართ ამ ამბებისა, არ უნდა შედიოდეს. ამას თავისი მოსაზრებანი აქვს. მასალები ასეთი დროის ისტორიისათვის ჯერ არ არის დამუშავებული, ჯერ მათ უნდა მიეცეს ისტორიის კუთვნილების ხასიათი, ჯერ მათ უნდა გაიარონ მეცნიერთა და მკვლევართა კაბინეტებში, იქ დამუშავდენ. მოწაფეებს კი უნდა მივაწოდოთ უდავო და დამუშავებული მასალა. აგრეთვე ობიექტიურობის დაცვაც სასტიკათ ძნელია ასეთი პერიოდის ისტორიის წერის დროს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ ს. კაკაბაძე იჩენს იშვიათ ობიექტიურობას.

ამ მოსაზრებით ვფიქრობთ, რომ ავტორის მეოცე საუკუნის ისტორია არ უნდა შევიდეს სახელმძღვანელოში, მით უფრო, რომ წიგნის ეს ნაწილი ერთობ კონსპექტიურია.

მიუხედავათ ყველა ამ შენიშვნებისა, ბ-ნ ს. კაკაბაძის „საქართველოს მოკლე ისტორია" წარმოადგენს დიდს ნაბიჯს წინ არსებულ ქართულ შრომებთან შედარებით. ის მოიტანს დიდ სარგებლობას არამც თუ ჩვენს სკოლას, როგორც სახელმძღვანელო, არამედ ფართო მკითხველთა მასსას, როგორც სერიოზული საკითხავი წიგნი.

ენა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

ალ. ფურცელაძე.

---

*) დაწვრილებით იხ. ნ. ჟორდანია „რჩეული ნაწერები", გვ. 622—722.

გინეს შეერთდენ ნავთლუღის და სამმართველოს მუშა მოსამსახურეების გადაწყვეტილებას გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ ერთი დღის ჯამაგირის, ერთი დღის ულუფის და სამი თვის ჯამაგირიდან ხუთი პროცენტის გამოქვითვის გადებით.

— ტყიბულის ახალი მაღაროების მუშა მოსამსახურენი გსწევენ ჯამაგირს, ერთი დღის ხელფს, დაზარალებულთა სასარგებლოთ. ფულს გადმოგზავნენ. ერობის თავმჯდომარე მიხ. ბოჭორიშვილი.

— ხონში შესდგა გორელთა დამხმარე საქალაქო კომიტეტი და ენერგიულ მუშაობასაც შეუდგა. ქუნებმა თავს იდვა ასი ათასი მანეთის გადახდა. ვაჭრებიდან მოველით ამდენსავე. დაწესებულების მოსამსახურენი თავიანთ წვლილს იღებენ. იქნება სურსათით დახმარებაც.

— შუხუთუხი. შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის ინიციატივით შესდგა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტი. კომიტეტში შედის ყველა ადგილობრივ თვითმართველობების, პროფესიონალურ კავშირების და პარტიის წარმომადგენლები. კომიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა. კრებაზედვე შეგროვილ იქნა 25,000 მ. ფართო მასაში დიდი თანაგრძნობაა. სამაზრო ერობამ სახელდახელოდ გადასდო დაზარალებულთა პირველ საჭიროებისათვის 10,000 მ. ამავე ერობის კანცელარიის თანამშრომლებმა—5,500 მ. ფულები იმავე დღეს გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ. ვიმედოვნებთ მოძმის უბედურებას შორაპნის მაზრის მცხოვრებნი ამოუჩნდენ სათანადო დახმარებას. მართაშვილი.

— თელავის მაზრის პროფესიონალურმა კავშირების ცენტრალურმა საბჭომ, სასწრაფოთ მოიწვია საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც ერთხმათ გადასწყვიტა ყველა წევრი კავშირებისა გახადონ ვალდებულად დაუყონებლივ შეეწირონ თითო დღის ჯამაგირი, გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. შეუდგა შეწირულებების შეგროვებას. ფული შეუდგნენ, რასაც დაჩქარებით გადაგზავნის ცენტრალური კომიტეტის სახელზე თფილისში, გორის ფონდისთვის.

— მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შულავერის კომისიამ 12,508 მანეთი შეაგროვა.

— მთავრობის კანცელარიაში შევიდა შემდეგი შეწირულებანი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ: 1) თფილისის ხაზინის მოსამსახურეთაგან 65 მ., 2) ნ. ი. ნიკოლაძისაგან—1000 მან., 3) მ. ი. სკობელევისაგან—200,000 მან., 4) რაზმჟოვსკისაგან—100 მანეთი, 5) შრომის სამინისტროს მოსამსახურეთაგან—3910 მან., 6) ამიერ. საზ. ძმები ფორერისაგან—50,000 მან., 7) რუსთა ეროვნულ კომიტეტისაგან (დონის ფულით) 5000 მან. 8) საგურამოს სახ. ტყის მოსამსახურეთაგან—650 მან., 9) ქუთაისის დაწყებითი სასწ. მოწაფეთაგან—870 მ., 10) აზოვი-დონის ბანკი—75000 მან., 11) ვოლგა კამის ბანკი—75,000 მან., 12) პეტროგრადის საერთაშორისო ბანკი—75,000 მან. 13) ალ. წულუნავასაგან—28,105 მან. 50 კ., 14) ვაკარეცი, სერგეევი და პორახტაევი 600 მან., 15) ქნ. ცაციშვილისაგან—3000 მან., 16) სახელმწ. თეატრის მოსამსახურეთაგან—6,964 მ.

— სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოსამსახურეებმა შეაგროვეს ერთ-ერთი შორის გორის ფონდისთვის 18,387 მანეთი.

— გორის ფონდში შეწირეს საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მოსამსახურეებმა: ალ. ჯაბადარმა 2500 მ., მ. ჯავახიშვილმა 1143 მ., თაქთაქიშვილმა 980 მ., ვ. პეტროვმა 980, ი. ზედგინიძემ 1120 მ., ქ. მერუცმა 560 მ., ა. იაროვმა 200 მ., „ეკონომისტმა" 200 მ., ბ. გ—ძემ 200 მ., ან. ვახვახიშვილმა 362 მ., თ. ფილაგანდიშვილმა 454 მ., თ. ბეგლარიანმა 363 მ., ნ. მესხიშვილმა 363 მ., ნ. ფულიაშვილმა 363 მ., ნ. ლორთქიფანიძემ 363 მ., ვ. ლებანიძემ 152 მ., ბრაილოვსკიმ 500 მ., ირ. მაყაშვილმა 363 მ., დ. ლებანიძემ 121 მ., არ. მეტრეველმა 1050 მ., ი. ჯაბადარმა 1050 მ., სულ 13387 მან.

— თფილისის კომისიის შემოწირულებათა ბიულეტენი. თფილისის კომისიამ შემოწირულებათა დაწყების პირველ დღეს მიიღო: შინ. ჩხიკვიშვილისაგან 500 მან., იგივე გომართელისაგან 500 მ., ელ. გომართელისაგან 500 მ., ო. ლაცაბიძესაგან 250 მ. ო. სვანიშვილისაგან 1000 მ., დ. ალხაზისაგან 500 მ., არ. ჯავახიშვილისაგან 500 მ., დ. ვაჩნაძისაგან 150 მ., ბ. ამირეჯიბისაგან 250 მ., შაჟვიშვილისაგან 250 მ., ქ. კუპრაძისაგან 500 მ., ვაჩნაძიშვილისაგან 500 მ., ვახ. ახვლედიანისაგან 500 მ., ვახ. ხახანაშვილისაგან 500 მ., მ. გელოვანისაგან 200 მ., ელ. ლიაგსაგან 100 მ., ს. კალანდარიშვილისაგან 100 მ., ნინო ნაკაშიძისაგან 250 მ., ნინო თავდგირიძისაგან 100 მ., ნ. ლორთქიფანიძისაგან 150 მ., ნინო გაბაშვილისაგან 300 მ., სოლ. ახვლედიანისაგან 500 მ., ეგნატე მიტრეველის ოჯახში შეგროვილი 2 150 მ., ქალაქის მილიციელთა შორის შეგროვილი 120.000 მ., იოსებ ნინუასაგან 1.000 მ., რადიო-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 1 525 მ, გარეშე საქმეთა სამინისტროში შეგროვილი 67.000 მ., ელ. რატიშვილისაგან 100 მ., ძმ. სვანიძეშვილისა და ამხ. ფირმისაგან 15.000 მ., კოოპერატიული საზ. „მერი" საგან 10.000 მ.—სულ შემოვიდა 224.875 მანეთი.

— გორის სამაზრო ერობის გამგეობა სასწრაფოთ შეუდგა გორის ფონდისთვის შემოწირულების შეგროვებას. გამოუშვა მოწოდება სათაურით—საქართველო განსაცდელშია, რომელშიაც მოჰყავს რა მთავრობის თავმჯდომარის თვითმართველობისადმი მიმართვა, მოუწოდებს თემებს მაზრაში აირჩიონ სამაზრო დახმარების საქმეში ერობასთან გამგეობასთან დაარსდა გორის ფონდის სამაზრო კომიტეტი. თემებში მოეწყო კომიტეტები და შეუდგნენ მუშაობას. სამაზრო ერობამ ჯერ-ჯერობით გორის ფონდისთვის გადასდვა ასი ათასი მანეთი.

— ვაჭრ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი მიიღებს შემოწირულებას: 1) სავაჭრო სამრეწველო პალატში, გრიგოლ ხაბეჟის ქ. 11 (ყოფილი ფრეილინის ქ.) 2) დ. გ. [illegible] ტფილ-კავკასიის ბანკში (რუსთაველის პრ.) 3) მექარხნეთა და მეფაბრიკეთა სახ-ბა (პოლოგის ქ. № 6) 4) გ. თ. [illegible] მარგანეცის მრეწველთა საბჭოში (რუსთაველის პრ. ს. აბიანცისა) 5) ნ. ვ. წერეთლის ამიერ-კავკასიის ბანკში, 6) ა. ნ. მოლოვი და გ. ი. ტერ-ზაზარიევი ვაჭართა ბანკში და 7) ა. ნ. სეილანოვი ძმ. სეილანოვების ქარხანაში.

ქუთაისი. ჩვენ, „კამანდიროვანი" მუშები რკინის გზის მილიციონერებმა და დარაჯებმა, რიცხვით 58 კაცმა, ხაშურის რაიონიდან: ჩიქოძე ვასილმა, გაგრიძე გიორგიმ, მურმანიძე ვიქტორმა, წერეთელი დავითმა, გოგლიძე ილიამ, ჩიტაიშვილი გრიგოლმა, თათუკაშვილი ლეონტიმ, გურგენიძე ივანემ, გოგუა ერმოლომ, გოგოლაძე დავითმა, კობაძე დიმიტრიმ, მურჯანიძე იოსებმა, სუხიაშვილი ვასილმა, ცინცაძე დავითმა, ტაბატაძე სიმონმა, ბოთაძე იასონმა, ლეონტი ახალკაცმა, გრიგორი ჯიბაძემ, ისაკ მურჯიკნელმა, პორფირიმ ქუთაისის რაიონიდან ყენია ანდრიამ, კაპანაძე ვასილმა, განჯელაძე თეოფილემ, წერეთელი შიომ, კუხიანიძე ნიკომ, ცერაძე კონსტანტინემ, ოქროპირიძე ალექსანდრემ, კვინიკაძე ვარლამმა, შუბითიძე ნიკოლოზმა, ცქიპურიშვილი კონსტანტინემ, ვაშაძე ვლადიმერმა, სამტრედიის რაიონიდან: ფხაკაძე ნიკოლოზმა, მიმინოშვილი ალექსანდრემ, გოგოლაშვილი პიმენმა, მანჯგალაძე ვლადიმერმა, ჯიქია სერგომ, თევზაძე სერგომ, გოგაძე ივანემ, კახიანი სიმონმა, მალანია ლუკამ, ჩიკოვანმა თედორემ, ნადირ სარდიონმა, ჟუჟიაძე ერმოლომ, ჩხაიძე საბამ, შენგელია ალექსანდრემ, კორძაია პეტრემ, ჯინჭარაძე გრიგოლმა, მაჭუტაძე სტეფანემ, ჯიბლაძე პავლემ, თოდუაშვილმა ვასილმა და ხაჩინჯა გიორგიმ მოვისმინეთ რა მოხსენება ჩვენი უფროსის გოგუასაგან ქალაქ გორის და მის მიდამოებში მდებარე სოფლების მიწის ძვრის გამოწვეულ უბედურების შესახებ, ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ დაზარალებულთ და ვსახავთ საქართველოს რკ. გზების მილიციის უფროსს, გამოგვერიცხოს მარტის თვის ჯამაგირიდან თვითეულს ას ასი მანეთი მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მოძმეთა სასარგებლოთ. აგრეთვე მოუწოდებთ საქართველოს რკინის გზის რაიონებში დარჩენილ ყველა მილიციელებს და დარაჯებს გაუწოდონ ძმური ხელი ულმობელი სტიქიის მიერ დაკოდილ ქართლის გულს. მინდობილობით ხაშურის რაიონის რკ. გზის მილიციის უფროსი გოგუა. პირადათ მეც ვითხოვ გამომერიცხოს ხუთასი მანეთი ჯამაგირიდან ამავე მიზნისათვის. გარდამ გოგუა.

Ს.-Დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი. 28 თებ. ამხ. კონ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით შესდგა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის პარტიის წევრთა საერთო კრება. დღიურ წესრიგში იყო: 1) ოქმების დამტკიცება, 2) მოხსენება კოლექტივიდან, 3) კომისიების მოხსენება, 4) დაზარალებულთა შესახებ. ოქმები უცვლელად მიღებულ იქნა. კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ზ. გომართელი, რომელიც ცნობათ იქნა მიღებული. კრებამ მოისმინა კომისიების მოხსენება და გადავიდა შემდეგ საკითხზე. ამხ. კონ. ბაქრაძე მოახსენებს კრებას გორში და მის მაზრაში მომხდარი მოვლენის შესახებ და აღნიშნავს, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკის დარაჯი არის მუშათა კლასი და მუშათა კლასმა უნდა გაუწიოს დახმარება სოფლის დაზარალებულ გლეხკაცობასაო. და მოუწოდებს რახან მთავრობამ და სხვადასხვა ორგანიზაციებმა უკვე მიმართეს ყოველ საშუალებას, ამიტომ ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია ის, რომ ჩვენმა პარტიის წევრებმა თავის ორგანიზაციაში გამოვიღოთ წვლილი. ამის შემდეგ ხდება ფულის შეგროვება. კონ. ბაქრაძემ 100 მ., ვეფხვაძემ 100 მან., ქრისტესიაშვილმა 100 მ., ლორთქიფანიძემ 100 მ., ხითაროვმა 100 მ., გომართელმა 50 მ., ბაზერიაშვილმა 50 მ., ბერიკაშვილმა 50 მ., ტყლაბაძემ 50 მ., ბაბუნიაშვილმა 50 მ., ალიაშვილმა 50 მ., ოქროპირიძემ 50 მ., დვალიძემ 50 მ., ჩხეიძემ 50 მ., ბოლქვაძემ 50 მან., ვეფხვაძემ 50 მ., ერაძემ 50 მ., კვახაძემ 50 მ., გუგუშაშვილმა 50 მ., აბაშიძემ 50 მ., ერაძემ 50 მან., ოტიევმა 50 მან., იაშვილმა 50 მ., შუქრიშვილმა 50 მან., შერმაზანოვმა 50 მ., ქინქარაძემ 20 მ., გაბრიელაშვილმა 20 მ. სულ 1540 მან.

X

თფილისი. 28 თებ. საღ. 7 საათზე, ამხ. ს. ვაჟაფშაველის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 200 კაცამდე. კრებაზე ამხ. რამიშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლიუცია". ლექცია გაგრძელდა მთელი ორი საათი მომხსენებელმა ვრცლათ გაარკვია რაობა პროლეტარიატის დიქტატურის. დაახასიათა რუსეთის დღევანდელი სინამდვილე მთელი თავისი საშინელებით და ის პოლიტიკა რომელსაც აწარმოებს ჩვენი პარტია. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

მჭადისჯვარი. (დუშეთის მაზ.) თებერვლის 5 სკოლის დარბაზში შესდგა ადგილობრივი ს.-დ. მ. პარტ. წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მომენტი, 2) პარტიის წევრთა რეგისტრაცია, 3) პარტიის უმთავრესი პრინციპები, 4) პარტიული კომიტეტი, 5) პარტიული მუშაობის გაძლიერება, 6) სახალხო კითხვების და საღამოობით წერა-კითხვის სკოლის მოწყობა მოზრდილთათვის, 7) სოფლის სკოლა და მისი საჭიროება, 8) სოფ. მჭადისჯვარში საფერშლო პუნქტის გახსნის მოთხოვნა სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობაზე და 9) ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლის არჩევა სამაზრო ს.-დ. კომიტეტში.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მაკარი კოპალეიშვილმა. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მჭადისჯვრის ორგანიზაცია, მოისმინა რა მოხსენება ამხ. მაკარი კოპალეიშვილისა, მომენტზე და მთავრობის პოლიტიკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლების დაცვის საქმეში, სავსებით მოიწონა მთავრობის ამგვარი მიზანშეწონილი პოლიტიკა და აღუთქვამს მას უყოყმანო დახმარებას მომავალშიც, ჩვენი რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლების და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცების საქმეში.

მეორე კითხვა ხდება პარტ. წევრთა რეგისტრაცია, თანახმად დუშეთის სამაზრო კომიტეტის მოწერილობისა.

მესამე კითხვის შესახებ საჭირო ახსნა განმარტება მისცეს კრებას ამხანაგებმა შაქრო ლაშაურმა და მაკარი კოპალეიშვილმა.

პარტიული კომიტეტის წევრებათ კრებამ აირჩია: შაქრო ლაშაური, მაკარი კოპალეიშვილი, ლექსო ბრილაშვილი, იოსებ არუთინოვი და შაქრო მიღდიასოვი. მათ კანდიდატებათ: ნიკოლა კათხური და ხიმონა ყალაგაშვილი.

კრებამ დაადგინა გაძლიერებულ იქნას პარტიული მუშაობა. მომავალში კრებები უნდა ხდებოდეს სისტემატიურათ ყოველი კვირა დღეს.

მაკარი კოპალეიშვილის წინადადებით კრებამ სასურველათ დაინახა მოეწყოს ადგილობრივ სკოლაში წერა-კითხვის კურსები მოზრდილთათვის, კვირა-უქმე დღეებში კი სახალხო კითხვები.

სოფლის სკოლის მოწყობაში, კრებამ დახმარება აღუთქვა ადგილობრივ მასწავლებელს.

კრება აუცილებელ საჭიროდ სთვლის, ჩვენი ხალხის ფართო მასის ინტერესებისათვის მოეწყოს სოფ. მჭადისჯვარში საფერშლო პუნქტი, რომლის შესახებ დაევალა ადგილობრივ კოლექტივს ვრცელი, დასაბუთებული მოხსენებით წარადგინოს მომავალი დუშეთის მაზრის ხმოსანთა ყრილობაზე ს.-დ. ფრაქციის საშუალებით და ეცადოს ეს დადგენილება მოკლე ხანში განხორციელებულ იქნას ერობის მიერ.

ორგანიზაციის წარმომადგენლად მჭადისჯვარიდან დუშეთის მაზრის ს.-დ. კომიტეტისათვის, კრებამ აირჩია ამხ. შაქრო ლაშაური, მის კანდიდატათ ლექსო ბრილაშვილი.

მდივანი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

თფილისი. 13 თებერვალს შესდგა ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში კრება, რომელსაც დაესწრო ავლაბრის რაიონში არსებული შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: მუშათა კლუბის, სახალხო უნივერსიტეტის, მკერავ ქალთა პროფესიონალური კავშირის, მესამე რაიონის ს. ს. დ. მ. პარტიის კოლექტივის, ზეთისა და საპნის პროფ. კავშირების „ეროვნულის" პირველი ქვეკოლექტივის, არამიანცის საავადმყოფოს პროფ. კავშირის, ქარხანა „სიმონის" იაზიკოვის და მესამე რაიონის სახალხო გვარდიის. კრებაზე მოხსენება გააკეთა შრომის განყოფილების გამგემ ამხ. თაიმურაზ ტუმასმა „სახოგადოებრივ კავშირის" შესახებ. კრებამ მოისმინა მოხსენება და გამოსარკვევ სერიოზული არსებული ბავშვთა თავშესაფრების ვითარების. არჩეულ იქნა რაიონის გამგეობა, რომლის მიზანიც არის ფართო სოციალური დახმარების აღმოჩენა ავლაბრის რაიონის უპატრონო ბავშვებისათვის. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ალ. ბიჭრიაძე, ამხანაგათ ი. ბულავიძე, ხაზინადარად შ. სხილაძე, მდივნათ მ. ხუხუნაშვილი. გამგეობა მოთავსებულია ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში.

X

თფილისი. 26 თებერვალს შესდგა თფილისის საქონელთ-მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის არაჩვეულებრივი სხდომა. დღის წესრიგს შეადგენდა კითხვები: 1) გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარება, 2) 27 თებერ. სანიტარო კომისიის სხდომაზე წარმომადგენლების არჩევა, 3) მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მიმატება, 4) კოოპერაციის შესახებ, 5) ამხ. გრეკოვის და ოსთეცვილოვის განცხადების შესახებ. პირველი კითხვის შესახებ არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მოაგროვოს ყველა წევრებიდან „პოდვოდზე" ასი მან. კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) სილოვან ჩიქობავა, 2) ივ. ნარსია, 3) ილია მაისაშვილი და 4) პავლე მეგრელიშვილი. ქალაქის გამგეობის სანიტარიათა განყოფილების სანიტარო კომისიის 27 თებერვლის სხდომაზე წარმომადგენლათ არჩეულ იქნენ: შ. კარაკოზოვი, ილია მაისაშვილი, სილოვან ჩიქობავა, კ. ხუჩუაშვილი და დ. ქუნქულარია. მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ დადგენილ იქნა: ამა წლის 1 მარტიდან გადიდებულ იქნას ჯამაგირი შემდეგი სახით: კავშირის საქმის მწარმოებელს დანიშნოს თვეში 4500 მან. ხაზინადარს—2000 მან. და შიკრიკს 2,000 მ. კოოპერატივის შესახებ დადგენილ იქნა: გადაეგზავნოს კოოპერატივ „შრომას" გამგეობის მიმართვა, რათა უკანასკნელმა დაჩქარებით მოიწვიოს საზოგადო კრება. მეხუთე კითხვის შესახებ არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს ამხანაგობა გრეკოვის და ოსთეცვილოვის წერილობითი განცხადების სინამდვილე და შედეგი მოახსენოს გამგეობის შემდეგ მორიგ სხდომაზე. დასასრულ დადგენილ იქნა: გამგეობის მორიგი სხდომები ინიშნებოდეს პარასკევის მაგივრათ ხუთშაბათობით საღ. 6 ს.

დ. ქუნქულარია.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

სოფ. ამაშუკეთი ამაშუკეთის თემის საბჭომ 17 იანვარს დაადგინა გახსნას სოფ. ამაშუკეთში პეტრე ალექსიაშვილის სახელობაზე წიგნსაცავ-სამკითხველო. ეჭვი არაა, სურვილი და მასთან გადაწყვეტილი ნაბიჯიც ძალიან კარგია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ სიმპატიურ განზრახვას ხელს უშლის უსახსრობა და ცხადია, თუ უკანასკნელი არ იქნა ძლეული, კეთილი სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩება, დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივა.

სოფელი დღეს არც ისე მდიდარია ზოგიერთებს რომ აქვსთ წარმოდგენილი, მას კისრათ აწევს თავსაგარი გადასახადების ტვირთი, ტრიმერით ხელში სარჩოსაძიებლად ძიება და თუ იშოვნა, მასში სათავაზო ფასის გადება.

ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ ამაშუკეთი, როგორც ნამდვილი მხარე, ამ საქმისათვის ვერ გაიღებს საკმაოდ გამაცლელსა და ენერგიულ მოღვაწეებს; ცხადია აქ დახმარების გამომღებ თანამგრძნობთა რიცხვიც საკმაო თანხას ვერ მოაგროვებს. ამიტომაც ამაშუკეთის თემის, პეტრე ალექსიაშვილის სახელობის წიგნთ საცავ-სამკითხველოს ახლათ არჩეულმა გამგეობამ გადაწყვიტა მიმართოს დახმარებისათვის საქ. რესპუბლიკის დაბა-ქალაქების კულტურულ დაწესებულებათ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ აღმოგვიჩინონ ამ საქმეში საჭირო დახმარება: (ფულით, წიგნებით, ჟურნალ გაზეთების მოწოდებით და სხვა.) და მით საშუალება მოგვცენ ეს სიმპატიური განზრახვა საქმეთ ვაქციოთ და საერთო კულტურულ მოღვაწეობის ასპარეზზე ჩვენც ჩვენი წვლილი შევიტანოთ...

შემოწირულების შეგროვება მინდობილი აქვს: თფილისში შალიკო მ. ბარაბაძეს და იას. მეტრეველს (ელისაბედის ქ. № 25); ქ. ხაშურში—ბიძია ყაჭიაშვილს (სტამბაში); შიათურაში—ვასილ ვეფხვაძიშვილს; ფოთში—თედოფანე გორგასლიძეს (რკინის გზის კოოპერატივში).

ვიმედოვნებთ ვითხოვთ დაწესებულებით და კულტურულად საზოგადოება, რომ დაგვეხმარონ ვისაც რით შეეძლებათ და ყოველივე გამოღებული წვლილი გამოგვიგზავნონ ზემოთ ნაჩვენებულ პირთა საშუალებით.

ამაშუკეთის თემის წიგნთ საცავ-სამკითხველოს გამგეობა.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

მუხრანი (დუშ. მაზრა) ნათქვამია, საწყალ კაცს ქვა ალმართში მოეწიაო. ეგერ თვეზე მეტია, რაც მთელი მაზრა ღრმა თოვლით არის მოფენილი, დათოვლილს არც ჩარეს დაჰქრიალებს სუსხიანი და ცივი ზენა ქარი. ამ გარემოებამ აჟარებული სოფლის მუშა ადამიანი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. უკეთესი ნაწილი ჩვენი მცხოვრებლებისა მევენახეობას და მებაღეობას ეწევა და სწორედ ეს იყვნენ დარგი მეურნეობისა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ითხოვს მუშაობას, ამით ჩვენს მუშებსაც ეძლეოდათ საშუალება ქირით გასულიყვნენ სამუშაოთ ან ფულზე, ან ჭირნახულზე და ცოლშვილის გამოკვება გაეადვილებინათ. დღეს კი, უამინდობამ მოსპო ისინი ამ საშუალებას. ზამთარს პირი არ უჩანს და კიდევ უფრო რთულდება. სოფლის წინჭელამზი თვეზე მეტია, რაც ყინვამ დაიჭირა, რამაც უფრო მეტათ შეაწუხა ხალხი. დიდი დახმარება აღმოუჩინა მთელს რაიონს ქართლის ეროვნულ მამულის გამგემ მეგრელაშვილმა, რომლის წყალობით ამ მოკლე ხანში მოიწყო ორთვალიანი წისქვილი მამულში, რომელიც დღეიდღე ხალხს აკმაყოფილებს. ამ ერთი წლის განმავლობაში მან დიდი ცვლილება მოახდინა მამულში: შემოიღო ელექტრონით განათება, მოაწყო მშვენიერი ხაბაზნა, როგორც ზევით არის აღნიშნული, მოაწყო წისქვილი, ეწევა მებაღეობას, მებოსტნეობას, შემოიღო ხვნა თესვა, რითაც უზრუნველყო მუშები და მოსამსახურეები იაფ-ფასიან პურით. მეცხვარე.

მარტვილი (სენაკის მაზრა). მარტვილის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კრებაზე გამოითქვა სურვილი—ხელი შეეწყოს მარტვილის მაზრის დაარსებას, რომლის შემადგენლობაში შევა მარტვილის გარშემო მდებარე 11 საზოგადოება.

— ადგილობრივი სამკითხველო თითქმის ყველა პერიოდულ და ყოველდღიურ გამოცემებს (ჟურნალ-გაზეთებს) ღებულობს.

— ძლიერ გავრცელებულია პირტახტიანი ხახეი, „ისპანკა", ყვავილი. იყო რამდენიმე მსხვერპლი. ადგილობრივი ექიმების მიერ მიღებულია ზომები.

— გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობა უმწეოა. მოსალოდნელია პედაგოგთა ახალ შემადგენლობას ისეთივე ბედი ეწვიოს (სავარაუდოდ), როგორშიაც შარშანდელი შემადგენლობა ჩავარდა, თუ მთავრობამ დროზე არ მიიქცია ყურადღება.

— ორ კვირაზე მეტია, რაც აქ ღრმად მოთოვა, ამის გამო გზები შეკრულია.

— 20 თებერვალს აქ ძლიერი მიწის ძვრა იყო. ხმებია ს. გორდში რამოდენიმე მოსახლე დაიქცაო.

— ერობამ განიზრახა მარტვილში აბანოს გაკეთება.

— სანოვაგე ძალიან გაძვირებულია: სიმინდი ფასობს 250 მან. ფუთი. ყველი 1 გირ. 45 მან., ხორცი—ოყე 40 მან., ძვირია აგრეთვე ფირთლეულობაც.

— ქურდ-ბაცაცობამ და ყაჩაღობამ იკლო, თუმცა ზოგიერთი ყაჩაღები ჯერ კიდევ ვერ შეიპყრეს, მიმალულია ზოგები. მასწ. ნოე ქუთათელაძე.

ᲤᲝᲡᲢᲐ

ქვათური. ინსპექტორს, ივანე დოლენჯის ძე რამინაშვილს: ხამელოვარო განცხადება მივიღეთ დაგვიანებით და ამიტომ არ მოვათავსეთ. გვაცნობეთ რა ვუყოთ განცხადების ფულს.

ბაკურიანი. მასწ. ვ. არეშიძეს: მივიღეთ 1115 მანეთი. გვაცნობეთ დანიშნულება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, საბავშო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. 119—თ.)

ექიმი
დიმ. კოსტ. მე ერისთავი
(იხურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ.
სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 581)

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების: ჭლექის და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთ 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 67, [illegible] ახლოს.

ექიმი
პ. ზ. ფართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ხერსონის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ელექტრო მედიცინის დოქ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ზ. ზ. მეჰრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-სამკურნალო კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პნევმოტორაქსით. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 23, ტელეფ. 7—91. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ეკიმობს უფასოთ. (თ.616

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. [illegible] ქუჩა. № 74. ბინა № 1. ვაგზლის [illegible] ახლოს. (248)

ექიმი [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთ 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64 ([illegible] ახლოს) ტელეფ 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი
ექიმი **ა. გ. აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავის, ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ვაკცინაციით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. [illegible] სახლში. (კუკ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(წულუკიძის სამკურნალო) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(საზაფხულო [illegible] წინ [illegible] „[illegible]" ბულვარით). [illegible] სნეულებანი ავადმყოფების მიღება [illegible]
(თ. 218)

ქალთა ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. [illegible] ქუჩა № 11. [illegible] შესახვევი.
(თ. 3323)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისა და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33,

სტამბა-ბეჭდავი ამხანაგობა გ. როდინაძისა, გამბოვის შესახვევი № 1.